ქართული ტიტანიკა

№5 (269)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

ფასი 1 ლარი

4 – 10 თებერვალი, 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

გამოდის თითოეულ ოთხშაბათს

სკანდალური ინტერვიუ ქართველთან, რომელიც ოკუპანტი რუსეთის ჯარში მსახურობს!

„მე ამ ოკუპანტი ქვეყნის ფულით, საქართველოში ოჯახს ვარჩენ!“ – რამდენს უხდიან რუსები აჭარელ მამლუქებს

>>> მე-9 გვ.

„ხადურის უწყება „ნაციონალების“ მეთოდებით მუშაობს!“

>>> მე-10-11 გვ.

„ადეიშვილი ყველაზე ბორტია!“ – „ინჭიშვილის“ გატყავების 20-მილიონიანი საქმე

>>> მე-12-13 გვ.

ანი მირონტაძე: „იური ვაზაგაშვილის მკვლელობა ამ ხელისუფლების გარდამტეხი საქმე იქნება!“

დიდი ინტრიგები „ოცნებაში“

რა წერია „ეფ-ბი-აი“-ს საიდუმლო მოხსენებაში ბიძინა ივანიშვილზე

>>> მე-2-3 გვ.

„ივანიშვილმა ღიად თქვა, რომ „ოცნების“ ხელისუფლებაში ჩხენკელის, როგორც „ნაცმოძრაობის“ აქტივისტის, თანამდებობაზე დანიშვნის წინააღმდეგი იყო. ეს განცხადება ხელისუფლებისთვის მესიჯია, რადგან ჩხენკელი ყველა იმ ადამიანის კრებითი სახელია, რომელიც თავის დროზე „ნაცმოძრაობის“ წევრი იყო, დღეს კი, „ოცნებაშია“ მოკალათებული. ივანიშვილის სწორედ ეს განცხადება მიანიშნებს, რომ ძალოვან და სხვა სტრუქტურებში წმენდა დაიწყება“.

„ნინო ბურჯანაძევ, რომელ მორალზე ლაპარაკობთ?!.. თქვენს ბოდიშს ჩემთვის ჩალის ფასი აქვს!“

>>> მე-8 გვ.

პოლონეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ჟურნალისტის სკანდალური წერილი

„ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“ ფარული მიზნები

რატომაა საშიში „რეფორმების ახალი ტალღა“ და რა კავშირი აქვთ არასამთავრობოსთან გიორგი ვაშაძესა და მის მეუღლეს

>>> მე-16 გვ.

2 | № 5 (269) | 4-10 თებერვალი 2015

ქართული ოცნება

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სკანდალური ექსკლუზივი

დიდი ინტრიგები „ოცნებაში“

ქართული ანდაზაა: „ურემი რომ გადაბრუნდა, გზა მერე გამოჩნდაო...“ ქართულ პოლიტიკაში მოვლენები სწორედ ამ ანდაზით ვითარდება. ყოველ შემთხვევაში, ადამიანები, რომლებიც 2006 წლის 2 მაისის „კორტების სპეცოპერაციაში“ იყვნენ მხილებულნი, ვიდრე იური ვაზაგაშვილი საკუთარი შვილის საფლავზე არ მოკლეს, „ოცნებამ“ არათუ დაიჭირა, არამედ, სამსახურებიდანაც არ გაათავისუფლა. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე მათგანი, რომელიც ორი დღის წინ აიყვანეს, ოფიციალური მონაცემებით, ბოლო წუთამდე ძალოვან უწყებაში მუშაობდა... ისე, სიმართლე რომ ითქვას, „ცხელი თებერვალი“ ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა ჯერ კიდევ 2014 წლის მიწურულს დააანონსეს. ამასთან, არსებობს კულუარული ცნობა, რომ სერიული დაჭერები გაგრძელდება და „გლდანის ციხეს“ მხოლოდ „ნაციონალები“ კი არა, ზოგიერთი „ოცნებელი“ და მოქმედი ხელისუფალიც „მოინახულებს“. აღსანიშნავია, რომ თავის ბოლო სატელევიზიო გამოსვლისას მარტ-აპრილზე მინიშნება ყოფილმა პრემიერმაც გააკეთა... მაინც, რა მოხდება? — ეს რიტორიკული შეკითხვაა, თუმცა მიუხედავად ამისა, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე ლამის დარწმუნებით ამბობს, რომ ქვეყანა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ზღვარზეა. ამასთან, ქართველი სპეცსამსახურელი აცხადებს, რომ პირადმა ოპერატიულმა წყაროებმა „ეფ-ბი-აი“-სა და „ფე-ბე-ერ“-ის საიდუმლო მოხსენება მიაწოდეს, სადაც ყველაფერ იმაზეა ლაპარაკი, რაც საქართველოში 2012 წლის საარჩევნო კამპანიიდან მოყოლებული ხდება. ამასთან, ფორჩხიძე „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული მოხსენება, მეტ-ნაკლებად, ბიძინა ივანიშვილსაც ეხება. მაშ ასე, ვინ და რა მიზნით შემოიყვანა პოლიტიკურ თამაშში ირაკლი კობახიძე, წავა თუ არა ემზარ კვიციანი ნინო ბურჯანაძესთან, რა ინტრიგებია „ოცნებაში“ და რატომ გააქტიურდა დავით თევზაძე? — „ქართული სიტყვა“ აგრძელებს სკანდალური ინტერვიუების ციკლს უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკ კონსტანტინე ფორჩხიძესთან.

რა წერია „ეფ-ბი-აი“-ს საიდუმლო მოხსენებაში ბიძინა ივანიშვილზე

„ივანიშვილმა ღიად თქვა, რომ „ოცნების“ ხელისუფლებაში ჩხენკელის, როგორც „ნაცმოძრაობის“ აქტივისტის, თანამდებობაზე დანიშვნის წინააღმდეგი იყო. ეს განცხადება ხელისუფლებისთვის მესიჯია, რადგან ჩხენკელი ყველა იმ ადამიანის კრებითი სახელია, რომელიც თავის დროზე „ნაცმოძრაობის“ წევრი იყო, დღეს კი, „ოცნებაშია“ მოკალათებული. ივანიშვილის სწორედ ეს განცხადება მიანიშნებს, რომ ძალოვან და სხვა სტრუქტურებში წმენდა დაიწყება“.

— ყოფილი პრემიერი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობას ვერ ხედავს, მაგრამ არც გამორიცხავს. ბატონო კოტე, თქვენი შეფასებით, მერვე მოწვევის პარლამენტი არსებობას ვადამდე ხომ არ შეწყვეტს?

— როცა იმხელა პოლიტიკური ფიგურა, როგორიც ბიძინა ივანიშვილია და რომელიც დღეს ქართული პოლიტიკის საშინაო და საგარეო პრიორიტეტებს განსაზღვრავს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ალბათობას უშვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ვადამდელი არჩევნები იქნება, ანუ როგორც ჩანს, ივანიშვილი პოლიტიკური პროცესების სხვანაირად განვითარებას არ გამორიცხავს.

ისე, ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ვადამდელი არჩევნები, პირველ რიგში, „ქართულ ოცნებას“ აწყობს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ „ოცნების“ რეიტინგი კატასტროფულად ეცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2016 წლის პარლამენტში მცირე პროცენტით მოხვდება.

— სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა აქცენტი ხალხის ნდობაზე, მგონი, პირველად გააკეთა...

— ამაში მართალია: იმ საქმიანობიდან გამომდინარე, რასაც პოლიტიკაში მოსვლამდე აწარმოებდა, ქველმოქმედებას და იმ ფინანსურ წვლილს ვგულისხმობ, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებაში შეიტანა, ხალხის ნდობა ჯერ კიდევ აქვს.

— ხალხის ნდობა ერთია, მაგრამ ყოფილი პრემიერის თქმით, მისი პოლიტიკაში დაბრუნება მეორედ მოსვლა იქნება...

— ამ განცხადებიდან გამოჩნდა, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნებას არ აპირებს, თუმცა მიუხედავად ამისა, არ გამოვრიცხავ, რომ თუკი სახელისუფლებო კრიზისი გაღრმავდება, ივანიშვილი აღმასრულებელ ხელისუფლებაში არა, მაგრამ პარტია „ქართულ ოცნებაში“ დაბრუნდეს, რომელიც მისი პირმშოა და რომელსაც კიდევ ერთ ინექციას გაუკეთებს...

— ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ ქვეყანაში ისეთი რა უნდა მოხდეს, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესი ახალ ფაზაში შევიდა — „კორტების სპეცოპერაციაში“ მხილებული ყოფილი ძალოვანების გარდა, როგორც ამბობენ, სხვებსაც დაიჭერენ...

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის აუცილებლობა შეიძლება, აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი უნდობლობის საკითხის წამოჭრამ გააჩინოს.

— აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდობლობა, წესით, პარლამენტმა უნდა გამოუცხადოს...

— დიახ.

— უნდობლობის საბაბი რა შეიძლება გახდეს?

— შეიძლება, ხელისუფლების გარკვეული უკანონო საქმიანობის მიმართულებები გამოაშკარავდეს. თუკი ასეთი რაღაცის პედალირება მოხდა, დღის წესრიგში მთავრობის ნდობის საკითხი დადგება.

გარდა ამისა, ნდობის საკითხი, არ გამოვრიცხავ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურასაც მოჰყვეს.

— ბატონო კოტე, ვიდრე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე გადავალთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავის ბოლო სატელევიზიო გამოსვლაში, „ოცნების“ ხელისუფლების ცალკეული ნეპოტისტურ-კორუფციული მიდრეკილებები, პრაქტიკულად, დაადასტურა და ამ კონტექსტში ძმები ჩხენკელები ახსენა, არადა, თავის დროზე ითქვა, რომ ჩხენკელებმა თანამდებობები პირადი განცხადების საფუძველზე, გადაღლის გამო დატოვეს. ესე იგი, ყოფილი პრემიერი მოქმედ მთავრობას გარკვეულ უნდობლობას უცხადებს?

— ასე გამოდის. ივანიშვილმა ღიად თქვა, რომ „ოცნების“ ხელისუფლებაში ჩხენკელის, როგორც „ნაცმოძრაობის“ აქტივისტის, თანამდებობაზე დანიშვნის წინააღმდეგი იყო. ეს განცხადება ხელისუფლებისთვის მესიჯია, რადგან ჩხენკელი ყველა იმ ადამიანის კრებითი სახელია, რომელიც თავის დროზე „ნაცმოძრაობის“ წევრი იყო, დღეს კი, „ოცნებაშია“ მოკალათებული. ივანიშვილის სწორედ ეს განცხადება მიანიშნებს, რომ ძალოვან და სხვა სტრუქტურებში წმენდა დაიწყება.

— ივანიშვილმა ისიც თქვა, ღარიბაშვილს ვეუბნებოდი, შენი ნათესავები შენი პრობლემააო... ეს რაღა მესიჯია?

— იცით, რა?! — აქ საქმე ცოტა სხვანაირადაა.

— მაინც, როგორ?

— თუკი იცოდა, რომ ნათესავები ღარიბაშვილისთვის სერიოზულ პრობლემად იქცეოდნენ, მაშინ პრემიერად არ უნდა დაენიშნა, მაგრამ როგორც ვიცი, ივანიშვილის მართვის სტილი ასეთია: პიროვნებას გზას აძლევს და თავისუფალი არჩევანის უფლებასაც უტოვებს.

— კი ბატონო, მაგრამ ივანიშვილის მხრიდან აქცენტის ნათესავებზე გაკეთება რა აუცილებლობას წარმოადგენდა?

— ეს, პრაქტიკულად, ხელისუფლებაში ნეპოტიზმის აღიარებაა, ანუ ხელისუფლებას მიანიშნა, რომ მისი რეიტინგის კლების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ნეპოტიზმია.

— სხვათა შორის, ნეპოტიზმი და მოქმედი პრემიერის ნათესავები პარტია „ქართული ოცნების“ ახალმა აღმასრულებელმა მდივანმა, ირაკლი კობახიძემაც ახსენა...

— წმინდა ადამიანური და კოლეგიალური ურთიერთობიდან გამომდინარე, ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ჯერ არავინ იცნობს, ეს განცხადება არ უნდა გაკეეთებინა.

— გამორიცხავთ, რომ ამ განცხადების გაკეთების უფლება კობახიძეს „ზევიდან“ დართეს?

— მგონია, რომ ეს პიროვნება საკუთარი „ბეგრაუნდის“ შექმნას ცდილობს, თან მაქვს ინფორმაცია, რომ მას უფრო სერიოზული თანამდებობისთვის ამზადებენ.

— ახალგაზრდა კაცისთვის პარტიის აღმასრულებელ მდივნობაზე უფრო სერიოზული თანამდებობა რაღა უნდა იყოს, პრემიერობა?

— არა.

— აბა?

— ვთქვათ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა.

— საინტერესო ვერსიაა... ისე, თქვენი ინფორმაციით, ბატონო კონსტანტინე, „ოცნებაში“ შიდა კლანები არსებობს?

— რა თქმა უნდა, არსებობს...

— ამ თემაზე ლაპარაკი შეგიძლიათ?

— კი ბატონო...

ერთი დავით უსუფაშვილისა და, საერთოდ, „რესპუბლიკელების“ მიმართულებაა. ვერ ვიტყვი, რომ კოალიციაში „რესპუბლიკელების“ ფრთა სუსტია, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო ასპარეზზე სწორედ ეს ფრთა დომინირებს, რაც კარგია.

— კარგი რატომაა?

— იმიტომ, რომ ჩვენი პროდასავლურობის შენარჩუნების ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტია.

„ოცნებაში“ მეორე მიმართულება ვიცეპრემიერ კახი კალაძის მიმართულებაა, ანუ პარტია „ქართულ ოცნებაში“ უმეტესად მისი კადრები არიან.

— ახალი აღმასრულებელი მდივანი კობახიძეც კალაძის კადრია?

— კობახიძე, ჩემი ინფორმაციით, ღარიბაშვილის კადრი არაა.

— კობახიძის მამის „ბეგრაუნდი“ ბურჯანაძემდე მიდის. კალაძე რა შუაშია?

— არ ვიცი...

ისე, კალაძეს ბიზნესურთიერთობა თავის დროზე ზურაბ ნოღაიდელთან ჰქონდა, რომლის ენერგეტიკული ბიზნესიც მთლიანად რუსულ ფლანგზეა მიბმული...

— ბატონო კონსტანტინე, თქვენი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი პარტია „ქართულ ოცნებას“ აკონტროლებს?

— აქამდე, ალბათ, აკონტროლებდა, თუნდაც გია ვოლსკის საშუალებით, თუმცა იგივეს თქმა დღეს აღარ შეიძლება...

— სხვათა შორის, მედიაში ითქვა, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ღამეს, ბიძინა ივანიშვილმა ვოლსკის უყვირა... ერთი სიტყვით, იმის თქმა გინდათ, რომ პარტია „ქართულ ოცნებას“ მთლიანად ვიცეპრემიერი აკონტროლებს?

— დიახ...

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა პრეზიდენტმა უნდა დაასახელოს და თუკი ამ პოსტზე კობახიძე განიხილება, მაშასადამე, კალაძე-მარგველაშვილს შორის ფარული კავშირია?

— კულუარებში ამბობენ, რომ მარგველაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე უშიშროების საბჭოს მდივნის კანდიდატურას დაასახელებს, მაგრამ „ქართული ოცნება“ ამ კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს.

— მარგველაშვილს „ოცნებაში“ მხარდამჭერები ჰყავს?

— თუ პოლიტიკურ პროცესს გადავხედავთ, მარგველაშვილისა და „თავისუფალი დემოკრატების“ დაახლოება ჩანს...

— „თავისუფალი დემოკრატები“, დიდი ხანია, კოალიციის წევრები აღარ არიან...

— პრეზიდენტს კარგი ურთიერთობა

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4-10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015

№ 5 (269)

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სპანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

აქვს „ოცნების“ რესპუბლიკურ ფრთასთან-აც...

– ბატონო კოტე, ნუ მიწყენთ და, ვერ ვხვდები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ პრეზიდენტმა კობახიძის კანდიდატურა როგორ უნდა წარადგინოს, ან ყველაფერი ეს ვადამდელ არჩევნებთან რა კავშირშია?

– პრეზიდენტს კობახიძის კანდიდატურის წარდგენას აიძულებენ.

– ვინ და როგორ?

– ეს პოლიტტექნოლოგიების საქმეა...

პარტია კობახიძისთვის მოსამზადებელი პლატფორმაა...

– კობახიძე იქნებ, პაიკია, რომელსაც გარკვეული ჯგუფები, ან ჯგუფი ქვეყანაში რყევების გამოსაწვევად იყენებს?

– გამორიცხული არაფერია... ისე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენა პრეზიდენტის დისკრეციული უფლებაა და, ივანიშვილის თქმისა არ იყოს, გაუგებარია, ამ კანდიდატურებზე „ვაკანსია“ რატომ გამოაცხადა.

– დემოკრატიის მთავარი გარანტორი უზენაესი სასამართლოა და აქედან გამომდინარე, მარგველაშვილის მიერ გამოცხადებული ე.წ. კონკურსი, ვფიქრობ, გამართლებულია...

– თუ მართლა დემოკრატია გვინდა, მაშინ კონსტიტუციაში ისეთი ცვლილებები უნდა შევიტანოთ, რომლითაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არჩევითი თანამდებობა იქნება. ყველა ნორმალურ ქვეყანაში სწორედ ასეა... ისე, მარგველაშვილმა რამდენი კანდიდატურაც უნდა წარადგინოს, თუ „ოცნებასთან“ არ იქნება შეთანხმებული, ჩავარდება და ამას მერაბ ტურავას მაგალითიც მოწმობს, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ იყო წარდგენილი. მოკლედ, ყველაფერ ამის ბოლო შეიძლება, ის იყოს, რომ პრეზიდენტმა მთავრობა დაითხოვოს.

– მერე?

– ეს უკვე პოლიტიკური კრიზისის ნიშნები იქნება.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ მთავრობა საკუთარი ნებით გადადგეს, რაც დროებითი ინექცია იქნება და „ქართული ოცნება“ 2016 წლამდე მივა. იმ შემთხვევაში, თუკი მთავრობა ნებით არ გადადგება, პარლამენტი მის ნდობის საკითხს დააყენებს, რასაც პოლიტიკური კრიზისი მოჰყვება, რომლის განსამუხტავადაც პრეზიდენტი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს.

– პოლიტიკურ კრიზისს ახალი მთავრობის წარდგენა ვერ განმუხტავს?

– ვერა...

– მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, თუკი დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დადგება, პარტია „ქართული ოცნება“, ბურჯანაძე და „პატრიოტთა ალიანსი“ შესაძლოა, ერთ კოალიციაში გაერთიანდნენ...

– არ მგონია, ეს კოალიცია შეიქმნას.

– რატომ?

– თუ ასეთი კოალიცია შეიქმნა, მაშინ გამოვა, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი ამოცანა ბურჯანაძის ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოყვანა ყოფილა, რაც შეიძლება, რევოლუციის საბაბი გახდეს... სხვათა შორის, მაქვს ინფორმაცია, რომ ირაკლი კობახიძის „ქართულ ოცნებაში“ მიყვანით ივანიშვილი მაინცდამაინც აღფრთოვანებული არაა.

– ყვლაფერი ზემოთქმული „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლებაში დაბრუნების შანსს ხომ არ მისცემს?

– „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება გამორიცხულია!

– ასეთი დარწმუნებული რატომ ხართ? არ გაგიგიათ, არასოდეს თქვა არასოდესო?

– ყოველ შემთხვევაში, ძველი შემადგენლობით „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება. თუკი „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობის“ გზას დაადგება და ამის ნიშნები ჩანს, ხალხი ხმას აღარც „ოცნებას“ მისცემს, აღარც – „ნაცმოძრაობას“ და შეიძლება, ისეთი კატეგორიის ხალხი გამოჩნდეს, რომელიც პოლიტიკურ ვექტორს სხვა მიმართულებით გადაიყვანს.

– რას გულისხმობთ?

– ვთქვათ, ირაკლი ალასანია გაძლიერდეს...

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გარდამტეხი როლი, რასაკვირველია, ხალხმა შეასრულა, მაგრამ აშშ-ის ფაქტორის გამორიცხვაც არ შეიძლება – ამერიკელები, ჩემი ინფორმაციით, არჩევნების პროცესში პირდაპირ ჩაერივნენ, ანუ „ცე-რე-უ“-მ და „ფე-ბე-ერ“-მა სენატის უშიშროების კომიტეტს ყოველწლიური მოხსენება წარუდგინეს. ამ მოხსენებაში ერთი თავი მთლიანად მიხეილ სააკაშვილს ეთმობოდა და პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ის რეგიონისთვის საფრთხეს წარმოადგენს. სწორედ ამის შემდეგ იყო ობამასთან ცივი შეხვედრა, როცა მიშას ღიად უთხრეს, რომ ხელისუფლება უნდა დაეთმო, თორემ ის არ მოერიდებოდა, არჩევნები გაეყალბებინა და პრემიერად მოსულიყო.

სხვათა შორის, ამ მოხსენებაში მინიშნება ბიძინა ივანიშვილზეცაა გაკეთებული, ანუ სააკაშვილს ხელისუფლება მისთვის უნდა დაეთმო.

– ეს მოხსენება საჯაროა?

– არა.

– აბა, თქვენ საიდან იცით?

– ინფორმაცია პირადი კონტაქტებით მოვიპოვე და დარწმუნებული ვარ, ამ მოხსენების შესახებ „ნაცმოძრაობის“ მხოლოდ რამდენიმე ლიდერმა იცის, მათ შორის, ერთ-ერთი გიგა ბოკერიაა. ამ მოხსენების მთავარი საფუძველი კი, ჩემი ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები გახდა.

– დღეს თეთრი სახლი მხარს ვის უჭერს?

– დღეს და მომავალშიც, ამერიკელები მხარს ირაკლი ალასანიას და „რესპუბლიკელებს“ დაუჭერენ! სიმართლე გითხრათ, „რესპუბლიკელების“ იდეოლოგიას არ ვიზიარებ, რადგან ლიბერტარიანელი კი არა, მემარცხენე-ცენტრისტი ვარ, მაგრამ ალასანიასი არ იყოს, ისინიც თანმიმდევრულები და ანგარიშგასაწევები არიან...

– ბატონო კოტე, ბოლო სატელევიზიო გამოსვლაში ყოფილმა პრემიერმა „კაბელების საქმე“ ყასიდადაც არ ახსენა...

– ეს მესიჯი იყო.

– ვისთვის?

– უფრო ალასანიასთვის, ანუ ივანიშვილმა „თავისუფალ დემოკრატებს“ დარტყმა აღარ მიაყენა...

– რატომ?

– ივანიშვილი ქართული პოლიტიკის ამერიკულ ფრთას არ უტევს.

– არ მგონია, ასე იყოს, რადგან ყოფილმა პრემიერმა განაცხადა, რომ სამ მძლავრ არასამთავრობოზე გამოსაქვეყნებლად ე.წ. მონიტორინგის შედეგებს ამზადებს... აშშ-ის საელჩომ ამ არასამთავრობოებთან თანამშრომლობა ღიად დაადასტურა... ამასთან, ივანიშვილმა უკრაინაში მებრძოლ ქართველებზეც მიანიშნა...

– ამ კუთხით არ ტყუის.

– რისი თქმა გინდათ?

– რუსეთმა შიდა მოხმარებისთვის შავი პიარის აგორება დაიწყო, აი, რუსეთის წინააღმდეგ ქართველები ომობენო: რუსულმა ტელევიზია „როსია 24“-მა კი, საქართველოს გენშტაბის ყოფილი უფროსის, გიგი კალანდაძის სრული გამოსვლა გადასცა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რუსული სპეცსამსახურები საქართველოში ყველა მედიასაშუალებას აკვირდებიან და იმ სცენარის განვითარებას ცდილობენ, რაზეც წინა ინტერვიუებში ვისაუბრეთ, ანუ ადრე ვამბობდი, უკრაინაში საომრად წასულ ქართველებს კრემლი საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებს-მეთქი და ახლა სწორედ ეს მომენტი დადგა.

სხვათა შორის, ის პროგნოზიც გამართლა, როცა ვთქვი, რომ რუსები შეტევას მარიუპოლზე მიიტანდნენ – რუსეთს მარიუპოლი ყირიმის ანექსირებული სივრცის გახსნისთვის სჭირდება. გარდა ამისა, მარიუპოლის დაკავებით მთელი აზოვის ზღვა რუსული გალენის ქვეშ მოექცევა. მოკლედ, რუსული სამხედრო მანქანა არ გაჩერდება და შეეცდება, რომ მთელი აღმოსავლეთი უკრაინა დაიმორჩილოს და ეს შეიძლება, ანექსიის ისეთი ფორმით გააკეთოს, რომელიც თავის დროზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გამოიყენა. საერთოდ, უკრაინაში ზუსტად ის სცენარი ვითარდება, რომელიც ჩვენ 90-იან წლებში გავიარეთ.

– სხვათა შორის, აჭარის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის რამდენიმე მოსახლემ პუტინი საქართველოში „დაპატიჟა“...

– ეს ჩვეულებრივი „მეხუთე კოლონის“ ნიშნებია... 2015 წლის შემოდგომაზე „მეხუთე კოლონა“ უფრო გააქტიურდება!

– ბატონო კონსტანტინე, რა ამის პასუხია და, ბოლო ორი კვირაა, ქართული პოლიტიკა ეკას გარშემო ტრიალებს. ეკა, როგორც ასეთი, რა მოვლენაა?

– ვიღაცები აქცენტს „ვარდების რევოლუციამდელ“ პერიოდზე აკეთებენ, მაგრამ ასეთი ფორმები მაშინაც არ იყო. ეს ფაქტი, ერთის მხრივ, სასაცილოა, მეორეს მხრივ კი, – ცუდი...

ვანო, წინა ინტერვიუებში გითხარით და ახლაც გავიმეორებ: ის კადრები, რომლებიც შსს-ში ვანო მერაბიშვილის დასაყრდენად ითვლებოდნენ, ღარიბაშვილის მინისტრობის დროსაც იყვნენ შენარჩუნებულნი და ჭიკაიძისაც. ამ ადამიანთა გვარები არაერთხელ დამისახელებია. სხვათა შორის, ეს სენი მხოლოდ შსს-ს კი არა, ყველა ძალოვან უწყებას სჭირს. ისე, დღეს თავდაცვის სამინისტროში ცუდი პროცესები მიმდინარეობს – იქ „ნაცმოძრაობის“ კადრები ისევ არიან და შემიძლია, რამდენიმე კონკრეტული ადამიანი დავასახელო, რომელიც წინა ხელისუფლებასთანაა მიბმული. ასევე, თავდაცვის სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე მუშაობს ეკა ზღულაძის ყოფილი თანაშემწე, რომელიც გია ბარამიძის ახლობელიცაა.

– ამის შესახებ თავდაცვის ახალმა მინისტრმა იცის?

– წესით, უნდა იცოდეს... ხელისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისთვის ყველაზე საშიში სწორედ ეს კატეგორიაა, რადგან ამინდს სწორედ ეს კადრები ქმნიან!

– შეიძლება, ამ თემას არ ეხება, მაგრამ როგორ ფიქრობთ, პატიმრობიდან გათავისუფლებული ემზარ კვიციანი ნინო ბურჯანაძესთან ხომ არ წავა?

– არ მგონია. ალბათ, იმ ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას შეუერთდება, რომლის დაარსებაც დავით თევზაძემ დააანონსა.

– თევზაძე რატომ გააქტიურდა?

– არ ვიცი. ისე, მას სერიოზული რესურსი აქვს და გამორიცხული არაა, მის გვერდით სალომე ზურაბიშვილიც ვიხილოთ...

– ბატონო კონსტანტინე, იმ სამწლიანი გადასახედიდან, რაც „ოცნება“ პოლიტიკაშია, ხომ არ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცებმა ივანიშვილი საკუთარი პირადი კეთილდღეობისთვის გამოიყენეს?

– რა თქმა უნდა, და ივანიშვილის გაღიზიანების მიზეზი, შეიძლება, სწორედ ესეც გახდა. საერთოდ, ადამიანის ნდობის ბოროტად გამოყენება არ შეიძლება და ასეთ დროს პირადი ინტერესების წინა პლანზე წამოწევა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა, რაც ამაზრზენია!

მოდით, სიმართლე პირდაპირ ვთქვათ: ადამიანები შეცდომებს უშვებენ, მათ შორის, – ივანიშვილიც.

– ანუ?

– პოლიტიკაში ნამყოფი არ იყო და ბევრი ფაქტორი ვერ გაითვალისწინა. ამიტომ, იმ რეალობის წინაშე დადგა, რა რეალობაც დღესაა და ცდილობს, ყველაფერი გამოასწოროს.

– სიტუაციას არასამთავრობოებზე იერიშის მიტანით გამოასწორებს?

– მხოლოდ ერთს გეტყვით: არასამთავრობოებში ბევრი ისეთი მექანიზმია ჩადებული, რომლითაც სპეცსამსახურები ნებისმიერ ხელისუფლებას აკონტროლებენ...

– ...აფხაზური მედიის ცნობით, ევროკავშირს აფხაზეთში წარმომადგენლობის გახსნა სურს. ამაზე რას იტყვით?

– ეს არაფერს ნიშნავს.

– რატომ?

– ჯერ ერთი, ეს ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია არაა, მეორეც, ევროკავშირის წარმომადგენელი აფხაზეთში შეიძლება, სადაზვერვო მისიით იყო ჩასული...

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი

(თემის გაგრძელება იქნება)

№ 5 (269)
4-10 თებერვალი 2015
ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურული, ეროვნული, ჰოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“



აფხაზებო, შევრიგდეთ!

სოხუმის და გაგრის მერე,
ვისრულებდი ყველა სურვილს,
შეშელეთი, აჩიგვარა,
ილორი და კელასური.
ვერ ვივიწყებ აჩადარას,
კოხორას და გუდაუთას,'
აფხაზეთის სიყვარული
აფხაზურად გულს დათუთქავს!
მახსოვს თქვენგან ნაჩუქარი
„ჯოხი ღვთისა“ – „ალა-ბაში“,
ვახმე, სად არ ვგრიალებდით,'
რა სუფრებთან, რა ამბავში.
აფხაზი ხომ საქართველოს
დიდი სუფრის წევრი არი,
აფხაზებო, ჩვენ ვინც გაგვყო,
ის ხომ ჩვენი მტერი არი!
ნუ იჯერებთ, რომ რუსეთთან
თითქოს ფრთაგაშლილები ხართ,
აფხაზები უძველესი
საქართველოს შვილები ხართ!
ისიცა ვთქვათ, სიყვარული
ცის ტოლია, მზის ტოლია,
შევრიგდეთ და გავიხსენოთ
ჩვენი ძველი ისტორია!

ჯანსულ ჩარკვიანი

ზვიად ზარანდიას გახსენება

16 თებერვალი შენი დაბადების დღეა – 46 წლის იუბილეს იმ ქვეყნად პირველად ხვდები და, ალბათ, დედასთან ერთად აღნიშნავ... რა გისურვო, ზვიად? – ღმერთმა ნათელში გამყოფოს...

საქართველოზე დანატრებული, მშობლიური ხობის მიწამ მიგიბარა, როგორ ჩქარობდი შენი ოდაბადის მზით დათბობას, შენი სამეგრელოს გულის ფეთქვის მიყურადებას... ვაგლახ, ბედისწერა მკაცრად გვექცევა...

მამას, შენს ერთადერთ დაიკოს, ირმასა და ახლადშეძენილ სიძეს გული დასწყვიტე... ჩემს მოსახელე პატარა დისშვილს ეხსომები უთუოდ...

შენი წყალობით, პოეზიას ვეზიარე და ადგილი ვპოვე ამ სამყაროში – ჩემი მუზა იყავი და იარსებებ სამუდამოდ მუზის სავანეში.

დიდი მადლობა,ზვიად!

შენ მასწავლე სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება, დიდი სულის ადამიანი იყავი და მეც მხვდა წილად, შენი ღირსებები გამეზიარებინა.

მადლობა, რომ შენ არსებობდი და მიყვარდი...

ნინო კემულარია, ხობი.

სტოპკადრი

აშშ საქართველოსა და მოლდოვას 51 მლნ დოლარს გამოუყოფს

აშშ-ი საქართველოსა და მოლდოვას რუსეთის ზეწოლისა და მისი აგრესიული ქმედებების წინააღმდეგ საბრძოლველად 51 მილიონ დოლარს გამოუყოფს.

AFP-ის ინფორმაციით, საქართველოსა და მოლდოვას დახმარებას აშშ-ის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესს წარუდგინა.

2016 ფინანსური წლისთვის აშშ-ის ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს აღმოსავლეთ ევროპისთვის ფინანსურ დახმარებას რუსეთის ზეწოლისა და აგრესიული ქმედებების საპასუხოდ.

AFP-ის ინფორმაციით, რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად ფინანსური დახმარების სახით, უკრაინა აშშ-სგან 117 მილიონ დოლარს მიიღებს. ამასთან ერთად, აშშ-ი მზად არის უკრაინას სესხის სახით 1 მილიარდი დოლარი გამოუყოს.

„ბიუჯეტი ითვალისწინებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მხარდაჭერას უკრაინისა და რეგიონის ქვეყნებისთვის, რათა წინ აღუდგნენ რუსეთის ზეწოლასა და აგრესიულ ქმედებებს“, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

„ინტერპრესნიუსი“

მილოცვა

პაატა, ხალხმა დაბადების დღე კიდევ სამოცჯერ მოგილოცოს!

ლეგენდარული ქართველი საოპერო მომღერალი, მსოფლიო ბანი პაატა ბურჭულაძე მალე 60 წლის ხდება. ამ დღის აღსანიშნავად, თბილისში, ასევე, მსოფლიო დონის ვარსკვლავი, ალენ დელონი ჩამოვა... პატა ბურჭულაძის ხიბლი მხოლოდ მის გენიალურ ხმაში კი არა, პიროვნებაშია – მისი თაოსნობით დაარსებული ფონდი „იავნანა“ არაერთი პიროვნებისა და ოჯახისთვის, მართლაც, სალბუნად იქცა.

დიახ, პაატა ბურჭულაძე მხოლოდ დიდი მომღერალი კი არა, დიდი ქველმოქმედი და ეკლესიათმშენებელიცაა.

ჩემო პაატა, გილოცავ 60 წლის იუბილეს და ღმერთმა ინებოს, ჩვენმა ხალხმა დაბადების დღე კიდევ სამოცჯერ მოგილოცოს!

„ქართული სიტყვის“ სახელით,
ჯანსულ ჩარკვიანი

სტოპკადრი

საქართველოს პრეზიდენტი ვაჟის მამა გახდა

საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და მის მეუღლეს, მაკა ჩიჩუას ვაჟი შეეძინათ. ახალშობილი 3. 600 კილოგრამი და 51 სანტიმეტრი დაიბადა.

მაკა ჩიჩუამ საკეისრო კვეთით იმშობიარა.

ახალშობილი გიორგი მარგველაშვილისა და მაკა ჩიჩუას პირველი საერთო შვილია.

პრეზიდენტის ვაჟს ბაბუის სახელი, თეიმურაზი (თემიკო) დაარქვეს.

„ინტერპრესნიუსი“

კახეთი მსოფლიოს 10 ყველაზე დაუვიწყარ ადგილს შორის მოხვდა

მსოფლიოში ერთ-ერთმა წამყვანმა ბრიტანულმა გამოცემამ თჰე თელეგრაპჰ-მა გამოაქვეყნა რეიტინგი: „მსოფლიოს 10 არაჩვეულებრივი ადგილი, რომლის შესახებაც არ გსმენიათ“.

რეიტინგი ცნობილმა მოგზაურებმა სოფი იბოტსონმა და მაქსომ-ლოუველ ჰორმა შეადგინეს. როგორც გაზეთი აღნიშნავს, მოცემული რეიტინგი დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ ყველაზე დაუვიწყარი და არაჩვეულებრივი მოგზაურობა განახორციელონ, მოინახულონ ის ადგილები, რომლის შესახებაც ცოტა რამ არის ცნობილი.

მათ შორის არიან: ქალაქი მეროე (სუდანი) ქალაქი მეშჰედი (ირანი) კახეთის მხარე (საქართველო), ვეფხვების ნაკრძალი კანხა (ინდოეთი), კუნძული სოკოტრა (იემენი), ზანკარის მთიანი რაიონი (ინდოეთი), კამჩატკის ნახევარკუნძული (რუსეთი) და სერო დე ლოს სიეტე კოლორესის მთები (არგენტინა.)

„კნიუს.გე“



ᲮᲘᲠᲘᲮᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4-10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015

№ 5 (269)

5

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲜᲘ

ᲡᲐᲜᲐᲗᲐ
ეგებ ინებოს ბატონმა,
გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა;
თუ ამას გავიგონებდი,
არ ვიტირებდი მკვდრებზედა:
იმავ დღეს, შვილო, დედილამ,
ჭრელს ჩავიცომდი კაბასა,
არ ვიგლოვებდი იმიერ
ჩემს ჯუღურას და საბასა;
ჩემს წარბ-დაღურბვლილს ივანეს,
კარგა ხმარობდა დანასა;
ვენაცვლე იმის გულ-მკერდსა,
შაიხდომლებენ შანასა;
ჩემს ტანა-დაბალს ხუმარას
ბატარას, შუბიანასა.
ვაუკაცის წესი სცოდნიყო
არა ჰგავ ჯუბიანასა;
მეხად დაეცა მტრის ჯარსა,
მისთიბდა, როგორც ყანასა.
ეცადა, მაგრამ ვინ დაჰლევს
რიყეზე ქვებს და ლოდებსა!
ვინ დაჰლევს თათრის ლაშქარსა,
უთვალავს, გასაოცებსა?!
თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა,
შვილთ არც კი მოვიგონებდი,
რაღა მიჭირდა, თუ მტრისას
გაულეტას გავიგონებდი.
გულიდამ ეკლის სალტასა
მაშინის მოვიფონებდი.
შვილო, დედილამ, მე თვითონ
წავალ, შავტირებ ფშაველთა;
ყველას შავტირებ ჩემს დარდსა,
ვისაც შავხვდები გზა-ველთა.
მე თუ რვა სული შავსწირე,
თითოს ვერ გაიმეტებენ?
ფშაველნი აიშლებიან,
თუ მტერს სამ დაიმედებენ
ღმერთო და ჩვენო გამჩენო,
ხატებო ფშავეთისაო,
აავსეთ თათრის სისხლითა
ველები კახეთისაო.
შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა,
დავლათო ახმეტისაო!
გვაკმარე, ღმერთო, ზარალი,
გვეყო, რაც სისხლი გვიღვრია,
გვეყო, რაც მტერთან ბრძოლაში
ძვალები გადაგვიყრია.
გვეყო ამდენი ცრემლის ღვრა,
დაუშრომელი ვაება;
არ თუ ვებრალვით საყმონი,
რო აღარ გვწყალობს ღვთაება?!
გვიშველე, ლაშარის ჯვარო,
დაგვჭირდა შენი თავია,
შენის ფრანგულით აკურთხე
თუშ-ფშაველ-ხევსურთ ზავია;
ნუმც დაეღუპვისთ, შენს მადლსა,
ზღვაში შასული ნავია.
ჩაუძვეღ, ლაშარელაო,
ტანზე შაიბი ხმალია,
გვიჭირს და გამოგვაყენე
შეუმუსრავი ძალია.
ასე მოსთქვამდა დიაცი
თავ-დაკიდებით მდგომარე:
გვიშველე, — სულ ბოლოსა სთქვა:
— შენა ხარ ჩვენი მომხმარე!
ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ
ამინ! გიშველოს უფალმა,
ღმერთმა გიცხონოს შვილები;
გაცხონოს, ჩემო დედაო,
ღვთისგანმც ნუ გაიწირები!
დიდხანს საუბარს ვაგრძელებ,
სვლას კი არ ვფიქრობ რადა მე?
ᲡᲐᲜᲐᲗᲐ
ძნელადა ბნელა, დედილამ,
ვეღარსად წახვალ ამ ღამე.
ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ
ხევსურეთს მინდა გადასვლა,
მეტი არ არის ჩარაო;
მიტანა უნდა იმ ამბავს,
რაც ზეზვამ დამაბარაო!..
უნდა ჩავუდგე სოფლებსა, —
ვიარო კარი-კარაო.
ᲡᲐᲜᲐᲗᲐ
ღვთით ხელიმც მოგემართება!
წადი, იარე ჩქარაო.
მეც სულელი ვარ, ბებერი,
წასვლას რო გირჩევ ხვალაო.
პური-ოთ გშიან, დამწვარო,
ნამგზავრ-ნატანჯი ხარაო.
აიღო ქადა-პურები,
მთლიანად ჩააბარაო.
— ნეტავ, მაჩვენა კიდევა
ფშაველის ჯარის ფარაო!
მგზავრმა ჩაიდვა საგძალი,
პირ-თავქვე ჩაეფარაო.
ქვეით გაისმა ლოდებზე
მგზავრის ხმლის ბუნის ჩხარაო.

IV
ცაზედ დამქრალან ვარსკვლავნი,
პირი ემურვის მთვარესა,
მთანი, თავ-ჩაჩქნიანები,
ფიქრს მისცემიან მწარესა.
ცა თვალს უცემდა სატრფოსა,
გრიალი მოდის შორითა;
მოდის ხმა ჟრიამულისა
მარჯვნივ და მარცხნივ გორითა,
თან გამოისმა ზარის ხმა
ლაშარის ჯვარის გორითა.
ცხრა-ათ კუთხიდამ მოდიან
ფშაველ-ხევსურნი რბოლითა
თითქოს გასწყდენო, ფშაველთა
იტყოდენ აღარ ყოლითა!..
არა, ყოფილან კიდევა,
გადარჩომიან რბევასა,
თათრების უბრალებლობას,
იმათს ხმალ-ხანჯრის ქნევასა.
ფიქრობენ ხოშარელების
სისხლის თათრებზე ზღვევასა.
ივსება ლაშარის გორი
ქორ-შავარდნების ფარითა;
დროშები გზას უკურთხებენ
ჟღერით, აწვდილის ტარითა:
როშკით მოიდენ ხევსურნი,
სუმელჯაურნი ცხრანია,
ამღითა — ბათაკის ძენი,
ჭინჭარაულნი ძმანია;
გუდანელთ ჩამასძღოლია
ხოშარეული ხარია;
ხევსურთ, რო ზვავმა მთისამა,
წინ მაიმძღვარეს ქარია;
ჭორმეშელთ, ჭიელთ ბიჭებსა
ღულელებიცა სტანია.
ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმამ
შააზრიალა მთანია;
მგლური დააწყვეს ნაბიჯი,
მოკლედ გადმოვლეს გზანია.
თითოს ხევს არაგვისასა
თან მოსდევს ლაშქრის ღვარია.
ფშავლის შვილებიც მოიდენ,
სულთქმა თან მოჰყვა ჩქარია.
რა საამური დრო არის,
რა საამური წამია!
მოიდენ აფხუშელები,
მცოდნენი თათრის ზნისაო;
წინადაც უცდავ თათრები,
როს დრო ყოფილა ცდისაო.
ბერი მაუძღვა ლუხუმი,
ლურჯამ მაიღო თქერანი,
პატრონის გულის მცოდნეა
თვალმოელვარე ჯერანი.
წითელს ფარს აჯიელავებს
მახინცაური ვერანი.
ძმობამ, რო კარგი ჰყოლია,
არც იმას ჰმტყუვნობს მერანი!..
კლდეთაც კი ესმით, სალს კლდეთა,
მათურელთ გულის ძგერანი
ცაბაურ-გაბიდოურთა
ცხენთაც მაიღეს ტყერანი.
მოგროვდენ ყოველის მხრიდამ
ვაუები ლომის ფერანი.
დიაცთ-ღა დაჰრჩათ მარტოთა
მატყლის სართავად კერანი.

V
მთაზე დაენთო ცეცხლები,
როგორც ვარსკვლავნი ცაზედა;
თავმოხდით სდგანან მხედარნი
თავის ბატონის კარზედა.
ბრჭყვინავენ ალმასივითა
დროშები ცეცხლის ალზედა.
ცივი უბერავს ნიავი,
ლაშქარს ნამს აყრის თავზედა.
მდუმარედ სდგანან, პირქუშად,
სულთქმაც-კი გაიგონება,
მხედართა გულის პასუხი
ერთს ფიქრად შაიკონება:
ხატი რას ურჩევს ლაშქარსა,
რა გამოუათ ბრძანება?
ქადაგი ხატს ეკითხება,
ჩურჩული მოდის საჯარეს.
მხედართ, საუბრის გამგონეთ,
მუზარადები დახარეს.
მუხლმოდრეკილნი ჩამოსხდენ,
პირს ჯვარი დაისახიან,
ციურის კრძალვა-შიშითა
პირები შაიჩმახიან.
აგერ ქადაგიც გამოჩნდა
განაცრებულის სახითა;
შემკრთალი იყო ისიცა
ხატის პირისპირ ნახვითა.
შემოუძახა ლაშქარსა
ხმით მედიდურით, მკვახითა:
„უამს ჩვენს ლაშარის ჯვარსა,
მის კარს რო შავიყარენით,
ქვეყნის წამწყმედთან საომრად
მალევ რო ავიყარენით.
წინ მომეგება სიცილით,
ბეღლის კარს მოდგა მზებურა,
ტანთ ეცვა ლურჯი ბექთარი,
თავზე ჩაჩქანი ეხურა.
დიდია ჩვენი ბატონი,
მადლით ცას სწვდება მთებურა;
თან გვატანს თავის ლოცვასა,
ფრანგული ამეეწურა.
გვიქადის გამარჯვებასა,
წინ წაგვიძღვება თავადა.
ჰნახავთ, — ნუ გაგიკვირდებათ,
სიტყვას ნუ ჰკადრებთ ავადა.
გაიგებთ იმის წაძღოლას,
მიჰხვდებით კილა-კავადა.
რო ჰნახოთ, ქება უთხროდით,
სალმით იყვნოდეთ, საღადა.
ლურჯს ცხენზე მჯდომი იქნება,
წინ მოარული ლაღადა“.
— ვენაცვლეთ მაგის დავლათსა!
ღირსნიც არა ვართ ნახვისა!
რად კადრობს ადგილით დაძვრასა,
საყმო რად ვყევართ თავისა? —
ამოსთქვა სულთქმით ლაშქარმა,
ცეცხლ-დანთებულმა პირზედა.
— უყვარან ფშაველ-ხევსურნი,
დამდგარნი ერთსა პირზედა, —
უთხრა პასუხად ქადაგმა,
მდგომმა საჯარის თხრილზედა.
ლომი საომრად მზადდება,
კბილს ააჩქამებს კბილზედა!

VI
საღმთო ქნეს ფშაველ-ხევსურთა,
დაკლეს ხარი და ცხვარია.
ჩამოსხდენ, ბეღელს საჯარეს
გარს შემოერტა ჯარია.
ყველას თან უდგა საგზაო,
საჩქაროდ ნადუღარია.
ადიდეს ლაშარის ჯვარი,
თამარის ნაჩუქარია;
ადიდეს დიდი თამარი, —
ის ღმერთთან წილნაყარია, —
თავის ოფლით და ამაგით
ხმელეთი დაუფარია.
მოიხსენიეს მხედარნი,
ვინც ველზე დარჩა მკვდარია.
არსადა მათთვის სამარე
და მიწა ზედ საფარია.
ყორნებს რო უთხრავ თვალები,
სვავთ მხრებით დაუფარია,
მაგრამ იმათი სახელი
დროთ-სვლას ვერ მოუპარია!
ხევისბრობს ბერი ლუხუმი,
ხმა-ტკბილად მოუბარია.
გმირთა ქებით და დიდებით
გული ვერ მოუფხანია.

VII
ყველა პურსა სჭამს, საუბრობს
ავსა თუ კარგსა მქუხარედ.
მარტო კვირია არა სჭამს,
სდგას ჯოხ-დაყრდნობით, მდუმარედ.
ჩასჩერებოდა მიწასა
ყელ-გადაგდებით, მჭმუნვარედ.
რას ფიქრობს ობოლ კვირია,
ამის გამგები ვინ არი?
არა მჟღავნდება გულიდამ
ფიქრები ამამდინარი.
— ობოლ კვირიავ, ძმობილო,
პურა შაჭამე ბატარა,
იქნებ შაგცივდა, ობოლო,
არაყათ შაჰსომ რად არა?
ჰა, ვაჟო, ცოტანი შასვენ,
აჰა, დაიჭი მათარა.
დღეს თუ რას შავსჭამთ, თორო ხვალ
ვისღა სცალიან საჭმელად
ერთურთის საპატიჟოდა,
ტკბილის სიტყვების სათქმელად?
— ამას ეტყოდენ მხედარნი
კვირიას მუდარებითა.
ახლა კვირიამ მიუგო
ოხვრით და მწუხარებითა:
— არა, კვირია გენაცვლოსთ,
სასმელს არ დავეკარები.
საჭმელსა, თუკი მშიოდეს,
აროდის დავეზარები.
წეღანის ხალი შავსჭამე,
გუდაშიც მიძე მრავალი.
თუ ვის გინდარისთ, მიირთვით,
თუ ვის გაკლიათ საგძალი.
— იქნება ცუდ სიზმარ ჰნახე,
გულზე დაგაწვა ისაო?
შაჰკითხა ბერმა ლუხუმმა,
ვადა უტაცა ხმლისაო.
— რა ჰნახე, ჩემო კვირიავ,
აგრემც მიტირებ ბერასა,
გვითხარ და ნუ დაგვიმალავ,
ლუხუმი მოგხდის წერასა.
ᲙᲕᲘᲠᲘᲐ
რა გაიგება სიზმრისა, —
მე მაინც გეტყვით ვერასა.
ᲚᲣᲮᲣᲛᲘ
თუ არ გვიამბობ, კვირიავ,
ჩამოგყრით დროშის ჭერასა,
სიზმრის დამალვა გირჩევნავ
ამდენის ხალხის წყენასა?!
სთქვი წუხანდელი სიზმარი,
მითამ-კი ჰხმარობ ენასა,
საპოხი უნდა, ობოლო,
მხედართა გულის კბენასა.
ᲙᲕᲘᲠᲘᲐ
გიამბობთ, თუ გიამებათ,
მე რაცა ვნახე, ეს არი:
დღე იყო მეტად მრისხანე,
ცა მოღრუბლვილი, მჭეხარი
მივდივარ ტრიალს მინდორზე
თავ-მამწონარი მხედარი.
შავს ცხენზე ვიჯე, მიჰქროდა,
მეგონა, ვზივარ ქარზედა.
სამი დაენთო სანთელი
ჩემის ფრანგულის ტარზედა.
შუქი ციური ჯვარადა
გამომესახა ფარზედა.
მინდორი იყო ტრიალი,
არა რაი ჩნდა მაზედა,
ყოილი, ხშირი ყოილი
დაფენილიყო გზაზედა
გავხედე, მინდვრად მოცურავს
შავი ვეშაპი ქშენითა,
ყოილთან მიწას მაჰლოკდა
ცეცხლის მსროლელის ენითა.
პირითაც ცეცხლი სდიოდა,
საზარელ იყო მეტადა.
მნახა, გულზვავად მომმართა,
ვუნდოდი დასაკვნეტადა.
პირი დააღო ვეება,
ჩასაყლაპავად მიტია,
მაგრამ ხმლითა ვეც, გავუპე
თავი როგორაც ფიტია.
მოკლულმა შემომანთხია
ბოროტი სისხლი პირზედა.
ცხენი წამექცა, თვითონაც
მიწას დავეცი ძირზედა.
გონი წამსვლიყო გონთ მოვედ,
მეოცა სახილებელი:
ქვეშ მეგო თეთრი ლოგინი,
ტკბილადა საძინებელი,
გვერდს ეგდო ჩემივე ცხენი,
ცრემლითა სატირებელი;
თავს მედგა დიდი ჭანდარი,
სიცხეში საჩრდილებელი;
ზედ იჯდა ბერი ქედანი,
დამღუღუნებდა თავზედა.
მზეც ამობრწყინდა მეჩვენა,
მნახა, გაბრუნდა წამზედა,
წითლად გაწირა ხოლოდა
ობოლი სხივი მთაზედა.
გაბრუნდა, თვალთ დამიბნელდა
და მიმეძინა მკლავზედა.
რა დაასრულა კვირიამ,
ჩაიკასკასა ტკბილადა.
ეწყინა ლუხუმს სიზმარი,
ცრემლები მოსდის წყვილადა:
— კეთილად ახდეს! — მაინც სთქვა
გულ-აჩუყებით რბილადა.

№ 5 (269)
4-10 თებერვალი 2015
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲢᲠᲝᲚᲚᲔᲘᲑᲣᲡᲘ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲐᲠᲯᲘᲐᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲒᲔᲚᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ

ნუთუ, კიდევ სადმე არსებობს ღვთისა და ადამიანის მიერ ისე მივიწყებული ალაგი დედამიწაზე, როგორიცაა ყარა-იაზის უდაბური პოლიგონი, განსაკუთრებით ნესტიან, მოღრუბლულ ამინდში, განსაკუთრებით დაბინდებისას, როდესაც ისეც საშინლად რუხი მთები და ხრიოკი ბლანტ ნისლში იძირება და კარგს არაფერს გიქადის სულიერს. სადაც ყოველი ქვის ქვეშ მორიელის ბუდეა, ყოველ სოროში „გიურზა“ ან ხვლიკი „ჯოჯო“ ბინადრობს...

...მივდიოდით სამნი, ორი სხვა და ერთი – დაღლილ-დაქანცული, წელში მოტეხილი – მე.

მე, ახლადგამომცხვარი ჯარისკაცი, რომელსაც, სულ ორიოდე კვირის წინ, თავი უძლეველი მეგონა.

მივდიოდი და ოფლისაგან დამძიმებული ჩექმები უკან მრჩებოდა.

მივდიოდი და კოღოები საშინელი ზუილით მწოვდნენ სისხლს.

მივდოდი და ხახაგამშრალი მზად ვიყავი, თუნდაც საქონლის გუბურიდან დამელია წყალი...

...ჰოდა, მივდიოდი.

არ ვიცოდი, სად და რისთვის...

ის ორი დაწინაურდა, – მალე თვალს მიეფარნენ.

„ერთი მაგათიც“, – გავიფიქრე და გავაგრძელე ლასლასი უაზროდ, ყოველგვარი მიზნის გარეშე.

ვგრძნობდი, ცოტაც და, წავიქცეოდი.

მორიელების გამო დაჯდომის მეშინოდა, მაგრამ დაღლილობამ თავისი ქნა. მოგრძო ქვას, რომელზედაც შესვენება გადავწყვიტე, ხელით დავეყრდენი...

სრულიად მოულოდნელად ქვა გაინძრა, ადგილი იცვალა, მერე, გასხლტა. საყრდენგამოცლილი, მთელი ძალით ჯერ იდაყვზე, შემდეგ, მარჯვენა მხარეზე დავენარცხე (ალბათ, გაკვირვებისგან). ტკივილის შეგრძნებამაც კი დაიგვიანა. გაქცეული ქვისკენ მოვტრიალდი უცებ და მხოლოდ მსხვილ, ჯავშნიან კუდსა და საზიზღარ, სამთითა კიდურს შევასწარი თვალი. ორიდან ერთი იყო: ან განგება მათამაშებდა და საშინელ გამოცდას მიწყობდა, ან კიდევ, საბოლოოდ ვგიჟდებოდი.

ნელ-ნელა, ძალიან ფრთხილად წამოვდექი და უკან-უკან სიარულით, თითის წვერებზე გავცილდი იქაურობას.

ქვიანი ხრიოკი რბილმა, ქვიშიანმა ნიადაგმა შეცვალა. ალბათ, გაცრეცილ ჩექმის ძირებსაც ესიამოვნათ შუადღის თაკარა მზის სითბოშემონახული ქვიშა.

ნაბიჯი შევანელე. მერე, სულ გავჩერდი.

ალბათ, შორიდან საფრთხობელას ვგავდი უკაცრიელ მინდორში სარივით დარჭობილი კაცი. ამის წარმოდგენაზე ოდნავ გამეღიმა. მერე კი, თითქოს გამომრთესო, ჩამთვლიმა, უფრო სწორად, ჩამეძინა...

არ ვიცი, რამდენ ხანში, უჩვეულოდ მძაფრმა შეგრძნებამ გამაღვიძა. ტანზე საოცრად მცხელოდა, სახე კი, სიცივისაგან მეყინებოდა.

წყალგადასხმულივით უცებ გამოვფხიზლდი, ნანახის გამო სასტიკად გამაჟრჟოლა. შიშისგან ძეგლივით გავხევდი, თუმცა ისედაც მკერდამდე ქვიშაში ჩაფლული და უმწეოდ გაშეშებული, ნამდვილი ძეგლი ვიყავი!

და დღესაც ვერ წარმომიდგენია, როგორ ამოვიდოდი იმ მშრალი, უძირო ჭაობიდან, ის პატარა, სახეგარუჯული და საოცრად სევდიანი ბიჭუნა რომ არა, რომელიც ჩემდა ბედად, საიდანღაც გამოჩნდა და ქვიშიდან ამოსვლაში დამეხმარა...

რამდენიმე წუთის შემდეგ, არაქათგამოცლილს (უკვე მერამდენედ ვითიშებოდი), არავინ და არაფერი მახსოვდა. უბრალოდ, ინერციით ვაგრძელებდი ლასლასს, თანაც, ჩემდაუნებურად, რომელიღაც ფილმიდან უაზრო მელოდია ამეკვიატა და ტვინის ბურღივით ნელ-ნელა მიხვრეტდა ტვინს.

წარმოსახვით, მთის სიმაღლიდან გადმოვხედე საკუთარ თავს, საოცარი უსუსურობა ვიგრძენი (ბავშვობის ერთ დღეს განცდილის მსგავსი, როდესაც აგარაკზე თანატოლებმა კარგა ხნით სრულიად ბნელ ოთახში ჩამკეტეს).

ისევ მივდიოდი და ტანში მაჟრჟოლებდა, მაგრამ ვიცოდი, ყველაზე თბილი ქურქიც ვერ მიშველიდა.

უკვე მეორე დღე იყო, საჭმელი არ მეჭამა, მაგრამ ჭამაც არ მინდოდა და, საერთოდ, არ ვიცოდი, რა მინდოდა, ან რა მეშველებოდა.

ჰაერსაც ვეღარ აღვიქვამდი...

თავი რაღაც პლაზმაში მეგონა, ისე იწელებოდა დრო, ყოველი ნაბიჯი და მოძრაობა.

ასე ვიკარგებოდი, ვიძირებოდი მუქ, მძიმე ბურუსში და ვგრძნობდი, როგორ ვითქვიფებოდი ნელ-ნელა ნისლში...

მაგრამ (ღმერთო დიდებულო!) უეცრად!..

სრულიად მოულოდნელად!..

უდაბნოს, ალბათ, ყველაზე დიდი, შავი მთის უკან, რომლის იქითაც, წესით, მარადიული უკუნი და უსასრულობა უნდა დაწყებულიყო... მოხდა ის, რამაც მაშინ დამიბრუნა დაშრეტილი სასიცოცხლო ენერგია, – გზა მაჩვენა უკიდეგანო უდაბნოში და დღევანდელობამდე მომიყვანა.

მთის უკან, ძაძით შემოსილ მინდორზე, იმიტირებული ქალაქის სრულიად გაშავებულ ნანგრევებს შორის, ღრმა ორმოში ჩაგდებული მუგუზალის მსგავსად, შუშაჩამსხვრეული, საბურავდაშვებული და ტყვიებისაგან მთლად დაცხრილულ-გაუბედურებული (მაგრამ, ჩემთვის განუმეორებლად ლამაზი), უბრალო, წითელზოლიანი... ყვითელი ტროლეიბუსი იდგა!

გაოგნებულს მოკლე, უცნაური ღრიალი აღმომხდა!

თითქოს ახლადმოვარდნილი ქარით გაბერილი იალქანი ვიყავი, ჯერ ნელა, შემდეგ უფრო და უფრო ავუჩქარე ნაბიჯს: ლასლასიდან სიარულში, სიარულიდან სირბილში, სირბილიდან ფრენაში, ფრენიდან სიგიჟეში... და მოვასწარი, მტრის ჯინაზე მაინც მოვასწარი გაქანებულ ტროლეიბუსში ახტომა!..

...ტროლეიბუსში, რომელიც ელვასავით მიჰქროდა და, რომლის ყოველი სარკმლიდან ცხადად, ხელთუქმნელი შედევრივით მოჩანდა: ჩემი საყვარელი, ღამის გაჩირაღდნებული ქალაქი, ჩემი ქუჩა, სახლი, მშობელი, მეგობარი, შეყვარებული...

P.S. მახსოვს, მაშინ (არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი ტროლეიბუსის გაშიშვლებულ იატაკზე) სრულიად არ მაღელვებდა ის კითხვა, რომელიც ახლა ასე ჩამაფიქრებს ხოლმე და მოსვენებას არ მაძლევს:

– მაინც, რა უნდოდა ყარა-იაზის ყველასგან დაწყევლილ, უკაცრიელ პოლიგონზე პატარა, სახეგარუჯულ, სევდიან ბიჭუნას იმ დღეს, მე რომ გადამარჩინა?!

თუმცა, შესაძლოა, რომ იგი ყვითელი ტროლეიბუსის მუდმივი ბინადარი იყო...



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4-10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015

№ 5 (269)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲣᲪᲜᲝ ᲬᲘᲜᲬᲧᲐᲠᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ!

გადასარევი სახის კანი, თეთრი ფაფუკი,
ორნამენტებით შემკულია მზერა თაფლისგან,
ოხ, რა სიცხადეს გადმოსცემენ შენი ბაგენი,
ვხვდები ადვილად, ვიღაც გიცავს ავი თვალისგან.
გამარჯობა!
გზა გენანება — თითქოს შენი ფეხის ლანდია,
რატომღაც მზერით შენიღბული იხდენ სიცოცხლეს,
ბედნიერება შენში ისე მძაფრი ძარღვია, რომ
ვეღარავინ ვეღარ გაწყვეტს ყველამ იცოდეს.
გამარჯობა!
აღწევ ყველაფერს, რაც კი ფიქრში გზად გინატრია,
წლების ღარებსაც არ დაუთმე სახე,
ხარ ურჩი, ისე ამაყი, ისე მძაფრი გამოხედვა გაქვს
თავად სიკვდილიც დაარწმუნე, რომ არის ფუჭი.
გამარჯობა!
ხო, ლამაზი ხარ, ვგრძნობ მდიდარიც — ეს ყველამ იცის,
არ გენანება არაფერი საღი აზრისთვის, სხვისი ტკივილით
ბევრჯერ სევდა შემოჩვეული, ცხოვრება იცი,
არ გცალია ყალბი ზღაპრისთვის.
გამარჯობა!
მე შენი ლანდი, შენი ჩუმი აჩრდილი დამყავს,
აღსარებისთვის რომ გჭირდება სწორედ ის გავხდი,
უბინოების ჩამოგაფარე მე თეთრი ფარდა,
გაცნობის დღიდან დამიჯერე, სულ გვერდით გახლდი.
გამარჯობა!
შენ იცი, ვინ ხარ? რისთვის გაჩნდი ამ ქვეყანაზე?
თუ გიფიქრია ღამე ძილში ამაზე ნეტავ?
უფრო სპეტაკი გახდებოდა მზის სილამაზე,
გაანათებდა თუ სამყაროს ის შენთან ერთად.
გამარჯობა!
არც გეკითხები — როგორ ხარ და რა გიხარია?
შენს ნატიფ სახეს ნიავიც კი ეალერსება,
სიბერის ჭორფლი ადგილს ეძებს მაგ შენს მაჯაზე,
თუმც იქვე ვხედავ, კვლავ იღვრები ცისფერ ლექსებად.
გამარჯობა!
გესმის, ზარები ვით გიხმობენ შენ სალოცავში?
შედი, გაბედე და უამბე ღმერთს ის, რაც მოხდა,
უფლის დიდება გამოგკვებავს სულის სიღრმეში,
აი, ხომ ხედავ, მადლიანი ლოცვაც აღმოგხდა.
გამარჯობა!
რატომ დაფრინავ ოცნებებში, დაეშვი დაბლა,
თუმცა გიხდება, ჰაერივით ფარფატებ ფიქრში,
საუცხოოა, როცა შენს ტერფს ეხება კაბა,
ქარის ზმანება და სიცივე მიქრება სისხლში.
გამარჯობა...
მე კვლავ შეგხვდები...
ახლა პაუზა....

●

და ვითვლი ნიჟარებს, აყრიათ ტალღები,
სიცივეს გაურბის ახლა აგონია,
სივრცეს გაუხდია ცისფერი აფრები,
ზღვის ხმაურს ვაძინებ, ღამე არ მგონია.
მოხუცდა თითები, ეძებენ ნაკვალევს,
ამაოდ წაშალეს ტალღებმა წყლის სევდა,
თამაშობს ნაპირზე გრძნობა იდუმალი,
მალულად გარიყა სიჩუმემ ცის ელდა.
გაუშვი, მოუსვას ნიჩბები სინათლემ,
შეეშვი, კანონობს ამ წუთას სტიქია,
მზე ჩადის, მაწყნარებს ტალღების გრუხუნი,
თავნება გრძნობებიც ამგვარად მიქია.
გედივით ცეკვავენ ახლა ზღვის ხელები,
ფსკერში ჩაძირული ამბების მწყემსი ვარ.

ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ...

იმ დღეს საუკუნე ერქვა,
ნელი სიო სხლავდა ტუჩებს,
ვიღაც უღიმღამოდ გვიდა,
ფოთოლჩამოფენილ ქუჩებს.
იმ დღეს გრძელი ღამე ერქვა,
ძილში ვაბოლებდი სათქმელს,
მერე გამეღვიძა გვიან,
სიზმრებს ვუყვებოდი სარკმელს.
ქუჩას ვაყოლებდი მზერას,
ზეცას ევლებოდა სიცხე,
კართან ატუზული იდგა დროში
გაწელილი სივრცე.
იმ დღეს სხვა სახელი ერქვა,
რაღაც გარდასახვის მსგავსი,
დროსაც მარტოობა კლავდა,
ქალაქს მოსდებოდა ხავსი.
ვიღაც სადღეგრძელოს სვამდა,
ძლიერ რომ უყვარდა ქალი,
მერე გადამთვრალა სადღაც და
გზად მიათრევდა ქარი.
იმ დღეს მთვრალი გრძნობა ერქვა,
თვალი რომ გაყიდის სათქმელს,
როცა აღარავის გჯერა,
ჩუმად, როცა ანთებ სანთელს.
იმ დღეს ჩემი ფიქრი ერქვა,
ფიქრმა შემიყოლა ტრანსში და
ყრუ ტკივილებმა ტანჯვით,
ლუკმად შეაღწიეს ტანში.
იმ დღეს ცივი გრძნობა ერქვა,
გული არ მტოვებდა მარტო,
აღარ მანაღვლებდა იმ წამს,
ვიღაც რომ მეძებდა სამტროდ.
იმ დღეს აღსარება ერქვა,
ყველას ჩავახედე გულში,
ნებადართულებმა ერთხმად,
დიახ, მეც მიწოდეს მრუში.
იმ დღეს ჩავიკეტე თავში,
არა, არ ვერჩოდი ურჩებს,
მხოლოდ მარტოობა მსურდა,
ნაგავს ვაყოლებდი ქუჩებს.
იმ დღეს დედამიწა ხურდა,
ცრემლით ვუსველებდი თვალებს,
თურმე, ტრიალებდა ჩემთვის,
მე კი, სხვას ვუხდიდი ვალებს.
იმ დღეს გულგრილობა ერქვა,
იმ დღეს დაიბადა სხვა „მე“,
იმ სხვამ მათამაშა წლები,
ვეღარ გავძელი და დავგმე.
იმ დღეს ჯამბაზობა მორჩა,
იმ დღეს გაიბზარა სარკე,
სცენას ჩამოეხა ფარდა,
მაინც ერთგულება ვამკე.
იმ დღეს მოღალატე კვნესდა,
ქრისტეს რომ მიეღო სახე,
მე კი გამყიდველი მერქვა,
რადგან დავუნგრიე მახე.
იმ დღეს დიდი შიში ერქვა,
იმ დღეს დაქორწინდა ღამე,
ის დღე საუკუნედ მეყო,
იმ დღეს მარტო დარჩა მთვარე.
იმ დღეს სიყვარულმა არა,
მე მზემ ამიყვანა, ცამდე!

ᲕᲐᲜᲡᲣᲚᲡ!

სიტყვა ხარ თქმული
ლამაზად ღვთისგან,
წლები გაცვია,
სამოსად მისგან.
სიტყვა გაქვს კაცის,
გცხელა, ხან გცივა,
ის, რაც ქართველს ტკენს,
სტროფებად გცვივა.
გული ხარ, დიდი,
მომავალს კვებავ,
დიდებით ამკობ,
ვინც გრძნობით კვდება.
ენა ხარ, რწმენა,
სიცოცხლის გჯერა,
ფეხზე გიდგება,
სამშობლო ჯერაც.

თაობებს ტუმბავ,
წყალი ხარ, სუფთა,
შენი სტროფებით,
გვასწავლე სუნთქვა.
მამულისათვის,
დღეს ნატრობ, მზიანს,
სიმართლისათვის,
გესროდნენ ტყვიას.
სიყვარული ხარ,
ერთგული მუდამ,
შენი ლექსებით,
სიყალბეს გუდავ.
კალამი ხელში
საოცრად ბრუნავს,
მე შენს სიცოცხლეს,
ვავედრებ უფალს.

ᲓᲐᲛᲘᲙᲘᲓᲔ!

დავიკიდე,
დავივიწყე ყველაფერი,
დავიღალე სიცრუით და ლოდინით,
გავიღვიძე, დილა იყო სევდიანი,
დრო მელოდა, არ იძვროდა ლოდივით.
დავიკიდე და ტალახში გავიარე,
დავიკიდე უწყლოობით წყურვილი,
დავიკიდე ყველაფერი, დავიკარგე,
დავიამე სული სავსე სურვილით.
ჩავუარე უსულდგმულო მოდგმას მალე,
სულ გავთელე რაც წამართვეს დუმილით,
დავიკიდე რას იტყოდა ღამით მთვარე,
მკერდზე მე მზე დავიკიდე გულივით.
დარდიანი სიმღერებიც დავიკიდე,
დავიკიდე საზრუნავი მუდმივი,
გავიხადე, გავაჩუქე, რაც კი მქონდა,
დავივიწყე ღირსეული მუნდირი.
დავიკიდე დიდება და აღმაფრენა,
თურმე ვცხოვრობ მე ამ წლების წუხილით,
დავიკიდე, რაც კი ცრემლი დამიღვრია,
გავქრი დროში, სამყაროშიც წუთივით.
დამიკიდე!

ᲕᲐᲣᲯ ᲫᲘᲠᲛᲣᲭᲐᲫᲔ

ᲨᲔᲜ ᲓᲐᲒᲔᲚᲝᲪᲝᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ, ᲐᲜᲓᲠᲘᲐ

ანდრია ჩაფიჩაძეს

ვეთამაშები სიბერეს, ბაბუ,
თმები ჭაღარას დაუბარდნია,
მე ჯოჯოხეთში მივემგზავრები,
შენ კი ამქვეყნად მოხველ, ანდრია.
რა კარგი დღეა, მზე ისევ ბრწყინავს,
ფეხისწვერებზე დგას მარმაშებით,
ასე მგონია, ტოლ-სწორები ვართ,
ერთმანეთს ისე ვეთამაშებით.
მე ეს თამაში თუ დამამშვიდებს,
რადგან სუფთაა, რადგან ნაღდია,
თორემ დამღალა ამ ცრუ სოფელმა,
უსაყვარლესო, ჩემო ანდრია.
შენ ხარ იმედი და სასოება,
ჩემი წარსული და ჩემი აწმყო,
შენ ალვასავით უნდა იზარდო,
მე კი სიკვდილის მარილი ვნაყო.
რადგან ავად ვარ, ლექსით ვარ ავად,
გადმოვარდნილი ჩიტი ტოტიდან,
ასე მგონია, მოხვალ ღმერთმანი,
იასამნისფერ სიზმრებს მომიტან.
მოდი, მესიზმრე და მეთამაშე,
ჭაღარას თმები დაუბარდნია,
მე ჯოჯოხეთში მივემგზავრები,
შენ დაგელოცოს გზები, ანდრია.

8
№ 5 (269)
4-10 თებერვალი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

პოლონეთში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტი, ორი შვილის დედა, ინგა ლოლაძე საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს ე.წ. შშმ პირთა შეურაცხყოფაში ამხელს. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ორგანიზაცია uman Rights Watch-მა საქართველოს მისამართით შენიშვნები გამოთქვა, ბურჯანაძემ განაცხადა: „სულაც არ არის გასაკვირი ამ ტიპის განცხადებების ამ ორგანიზაციის ანალიზში მოხვედრა, როდესაც მიხეილ სააკაშვილს წაუყენებ იმ ბრალდებას, რა ბრალდებებიც წაუყენეს, როცა დაუყადაღებ ბებიამისის 12 წლის მანქანას, რა თქმა უნდა, უნდა ელოდო, რომ ამ დაუნიზმზე შესაბამისი რეაქცია ექნება საერთაშორისო თანამეგობრობას“. გთავაზობთ ჟურნალისტ ინგა ლოლაძის წერილს, რომელიც ქართულმა საინფორმაციო პორტალმა – „მთავარი.ინფო“ გაავრცელა:

„ნინო ბურჯანაძევ, რომელ მორალზე ლაპარაკობთ?!.. თქვენს ბოდიშს ჩემთვის ჩალის ფასი აქვს!“

პოლონეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ჟურნალისტის სკანდალური წერილი

„აქტიურ ჟურნალისტიკას 2007 წლიდან ჩამოვშორდი, თუმცა პერიოდულად ბეჭდვითი მედიის ფურცლებზე ალაგ-ალაგ მაინც გამოვჩნდები ხოლმე. არც 2007 წლამდე და არც შემდეგ პოლიტიკაზე არ დამიწერია, ხოლო თუ ჩემს რომელიმე სტატიაში პოლიტიკოსის სახელი გაიჟღერებდა, მხოლოდ სალაღობო ფორმით (თუმცა, ეს სალაღობო ფორმა, ხშირ შემთხვევაში, ყველაზე ძლიერ ურტყამდა ამა თუ იმ პოლიტიკოსის „შეუბღალავ“ იმიჯს).

დღესაც არ ვაპირებ პოლიტიკაზე საუბარს, თუმცა რაღაც დოზით პოლიტიკოსს მაინც შევეხები და ამის მიზეზი ნინო ბურჯანაძის მიერ 30 იანვარს ხელისუფლების გლობალური „დაუნიზმის“ შესახებ გაკეთებული განცხადებაა.

6 წლის ანგელოზივით გოგონა მყავს, ნინო. ნინიკო დაუნის სინდრომითაა დაბადებული. დღიდან მისი ამ ქვეყნად მოსვლისა ვიბრძვი, რათა საქართველოში დაუნის სინდრომის შესახებ გავრცელებული მითი დავავიწყო ხალხს, სტიგმა დავამსხვრიო, ჩემს შვილს ნორმალური მომავალი შევუქმნა.

და ვიბრძვი არა მარტო მე – ათასობით დაუნის სინდრომით დაბადებული ბავშვისა და მოზარდის მშობლისა და ახლობლის ყოველდღიურ საქმედ იქცა ბრძოლა ჩვენი შვილების მომავლისთვის. მიზანს, გაგიკვირდებათ და, მეტ-ნაკლებად მივაღწიეთ – მთავრობა გვისმენს, ცდილობს, თუ ბოლომდე ვერ დააკმაყოფილებს, გაითვალისწინონ მაინც ჩვენი მოთხოვნები.

საზოგადოების დიდი ნაწილის მენტალობა შეიცვალა – ჩვენს შვილებს ზიზღით, შიშით და სიბრალულით კი არა, აღტაცებით უყურებენ. დაბრკოლებები, რა თქმა უნდა, გვხვდება, მაგრამ...

ყველაზე მტკივნეულად რას განიცდის შშმ ბავშვისა და მოზარდის მშობელი, თავად შშმ ადამიანი? – როდესაც მის გენეტიკურ მახასიათებელს (დაუნის სინდრომის შემთხვევაში), ან ფიზიკურ თუ გონებრივ შეზღუდვას, რისი მიზეზიც ძალიან ხშირად არაადაპტირებული გარემოა, დამაკნინებელ ფორმაში და ვინმეს შეურაცხყოფის მიზნით გამოიყენებენ. ყველაზე გავრცელებულ, შეურაცხმყოფელ სიტყვად, ჩემდა სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე რჩება სიტყვები – „დაუნი“, „დაუნო“, „დაუნიზმი“. არაფერს ისე არ გამოვყავარ მდგომარეობიდან, როგორც ტელევიზორის ეკრანიდან გაჟღერებულ თუ გაზეთის ფურცლებზე წაკითხულ „დაუნს“.

წლების წინ მწვავედ დავუპირისპირდი თაკო ჩხეიძესა და ია ფარულავას, როდესაც „იმედის“ ეთერში „დაუნ რობოტებზე“ იხალისეს, მერე იყო ნინა წკრიალაშვილი, ნანუკა ჟორჟოლიანი... ამ უკანასკნელს, მინდა, დღეს ბოდიში მოვუხადო – იმდენს აკეთებს შშმ პირებისთვის, იმდენად აქტიურადაა ჩაბმული მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, არ მაქვს უფლება, არ ვიფიქრო, რომ ნანუკას მიერ მაშინ მოხდილი ბოდიში ყველაზე გულწრფელი და ალალია, რაც კი ოდესმე მომისმენია. ბოდიში, ნანუკა, შენ ჩემგან შეურაცხყოფას არ იმსახურებდი!

ახლა დავუბრუნდეთ იმას, რითიც დავიწყე...

წლების წინ, ერთ-ერთ გაზეთში ნინო ბურჯანაძის დელისის ქუჩაზე მშენებარე სახლზე მქონდა სალაღობო წერილი... გაზეთის გამოსვლის დღეს, პარლამენტში საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი – რუსი სამშვიდობოების აფხაზეთიდან გაყვანა – განიხილებოდა. პირველი გამომსვლელი ქალბატონი ნინო გახლდათ და იცით, რაზე ისაუბრა? – დელისის ქუჩაზე მშენებარე ე.წ. ტყუპებზე. დღეს ეს ქალბატონი მორალის, კანონისა და სამართლიანობის აღდგენაზე ღაღადებს...

სალაღობო წერილს მალევე მოჰყვა დასაბუთებული სტატია იმის შესახებ, რომ მშენებარე სახლში ხშირად ხედავდნენ ნინო ბურჯანაძესა და მისი ოჯახის წევრებს. სამწუხაროდ, ჟურნალისტი, რომელმაც ეს სტატია დაწერა, ცოცხალი აღარაა. გაზეთის გამოსვლის შემდეგ, დაახლოებით, ერთ კვირაში, სტატიის ავტორი გაზეთიდან წავიდა... ცოტა ხნის შემდეგ, მეც გადავედი სხვა გაზეთში სამუშაოდ... დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ, სრულიად შემთხვევით გავიცანი ადამიანი, რომელსაც ჩემი ჟურნალისტური ფსევდონიმის გაგონებაზე თვალები გაუფართოვდა: შენ ხარ ის მაკა? რაც ჩვენ შენ გეძებეთ... სამაგიეროდ, ზეპირად იცოდა, რომ მეორე სტატიის ავტორი სიდედრ-სიმამრთან ცხოვრობდა, იცოდა, რომელ საბავშვო ბაღში დაჰყავდა ბავშვი და რომელ საათზე გამოდიოდა თუ ბრუნდებოდა შინ. – გადარჩენილი ხარო, – მითხრა, – ძალიან გააბრაზე ქალბატონი ნინოო...

დღეს ჩემი და ნინო ბურჯანაძის გზები ისევ გადაიკვეთა – ჩემს შვილს მიაყენა შეურაცხყოფა. ერთმა ქალბატონმა ჩემი საპროტესტო მიმართვა დააკომენტარა, წამოსცდა, თავადაც დედაა, ცუდად არ იტყოდაო... 7 ნოემბერსაც იყო ნინო ბურჯანაძე დედა, მაგრამ არ გასჭირვებია შვილის ტოლი ბიჭების დასისხლიანებული სახეებისთვის გაღიმებულს ეყურებინა, თუმცა ახლა „იმან“ მაიძულაო, ამბობს. კოდორის ხეობა რომ რუსებს გადასცეს ლანგრით, მაშინაც იყო დედა, აფრასიძეებს რომ ხოცავდნენ, – მაშინაც, თუმცა, როგორც თავად ამბობს, მონაწილეობა არაფერში მიუღია, თურმე. ჰო, ჩემი მეგობარი ჟურნალისტის ბავშვს რომ უთვალთვალებდნენ, მაშინაც დედა იყო და ყველა დროს – პარლამენტის თავმჯდომარე. მახსოვს, პირველი იყო „ქართულ ოცნებას“ მოლაპარაკებები გაუმართა, მიმსახურეთ და გემსახურებითო. არ იმსახურეს და „დაუნიზმი“ დამართა ყველას.

ახლა, პირადად ნინო ბურჯანაძეს:

ორ შვილთან ერთად ვცხოვრობ პოლონეთში. საქართველოში ვარ არასამთავრობო ორგანიზაცია „მზის შვილები“-ს დამაარსებელი და თავმჯდომარე. ორგანიზაცია დაუნის სინდრომით დაბადებული ბავშვების პრობლემებზე მუშაობს. რამდენიმე დღის წინ, „იმედის“ ხუთსაათიან „ქრონიკაში“ გავიდა სიუჟეტი, სადაც ნინო ბურჯანაძე შეურაცხყოფას აყენებს დაუნის სინდრომით დაბადებულ მილიონობით ადამიანს.

მოგმართავთ თხოვნით, ორგანიზაცია „მზის შვილები“-სა და პირადად ჩემი, დაუნის სინდრომით დაბადებული ბავშვის მშობელის სახელით გაავრცელოთ შემდეგი მიმართვა:

დიდ ბოდიშს ვიხდი იმ არაკორექტული მიმართვის გამო, რომელსაც ქვემოთ გავაკეთებ, მაგრამ, როდემდეეეე? ნინო ბურჯანაძევ, სიტყვა „ქალბატონო“-თი მომართვა ამ შემთხვევაში ზედმეტად მეჩვენება, რომელ მორალსა და რომელ რეაქციებზე ლაპარაკობთ? საერთაშორისო ორგანიზაციებმა რომ თქვენი ეს მიმართვა წაიკითხონ, ალბათ, იმ მოსალოდნელ რეაქციას გულისხმობთ? განათლებულ და ერუდირებულ პოლიტიკოსად მოგაქვთ თავი, თუმცა შინაგანი განათლება აშკარად გაკლიათ. მჭერმეტყველებით არც ადრე გამოირჩეოდით და ამ თქვენმა განცხადებამ ხომ სულ წყალს გაატანა თქვენს მიერ დაზუთხული თეზისები და კანონები. თუ ცოტა ხნით მაინც პოლიტიკოსის მანტიას შემოიძარცვავთ, ნებას იბოძებთ და, საკუთარი განათლების დონის ასამაღლებლად ცოტა დროს გამონახავთ, აუცილებლად გაიგებთ, რომ დაუნიზმი, როგორც ასეთი, არ არსებობს. არიან დაუნის სინდრომით დაბადებული ადამიანები და ამ ადამიანებს თქვენი არაკორექტული და ქსენოფობიური განცხადებით შეურაცხყოფა მიაყენეთ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა თქვენგან ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. გამეცინა. ბოდიში? არა, პირადად მე, დაუნის სინდრომით დაბადებული ბავშვის დედა, თქვენგან ბოდიშს არ მივიღებ, თქვენს ბოდიშს ჩემთვის ჩალის ფასი აქვს!“

ᲘᲜᲒᲐ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

P.S. მოგვიანებით, ნინო ბურჯანაძემ ბოდიში მოიხადა, – ამის შესახებ ინფორმაცია „იპრესს.გე“-მ გაავრცელა. „ნინო ბურჯანაძე ბოდიშს უხდის ყველა იმ ადამიანს, ვისაც უნებლიედ ტკივილი მიაყენა. რამდენიმე დღის წინ მის მიერ გაკეთებულ განცხადებაში დაშვებული მექანიკური გადაცდომის გამო წუხილს გამოთქვამს. განცხადებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს იყო შეცდომა და ნამდვილად არ ისახავდა მიზნად ადამიანებისათვის, მით უფრო, დაუნის სინდრომის მქონეთათვის ტკივილის მიყენებას“, – ნათქვამია „იპრესს.გე“-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, თუმცა, როგორც ნახეთ, ინგა ლოლაძისთვის ბურჯანაძის ბოდიშს ჩალის ფასი აქვს. ანალოგიურად ფიქრობენ სხვებიც, რომლებიც ბურჯანაძის გაცხადებამ აღაშფოთა და ამას სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოქვეყნებული მათი სტატუსებიც მოწმობს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4-10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015

№ 5 (269)

9

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

რუსული გაკვეთილები

სკანდალური ინტერვიუ ქართველთან, რომელიც ოკუპანტი რუსეთის ჯარში მსახურობს!

„— იმაზე არასდროს გიფიქრია, რომ რუსის ჯარმა საქართველოში სისხლიანი კალო მრავალჯერ მოაწყო, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა?

— კი, მიფიქრია, მაგრამ იმ ომში მე ხომ არ მიმიღია მონაწილეობა? — ჩვენ, ქართველები ბაზაზე დაგვტოვეს, როგორც ჩანს, მაინც არ გვენდობიან.

— თუ არ გენდობიან, ესე იგი, გიყენებენ! შენმა თანამებრძოლებმა ხომ მიიღეს ქართველების წინააღმდეგ ომში მონაწილეობა. მათ როგორ ხვდები, ხელს როგორ ართმევ?

— აქ ამ თემაზე არ ვსაუბრობთ... ამათ რომ ავყვე, შეიძლება, საქმე ცუდად დამთავრდეს და არ მინდა...

— რას ჰქვია, არ გინდა? რაკი რუსეთის მოქალაქე ხარ, სამშობლო აღარ გაქვს?

— მერე რა, რომ რუსეთის მოქალაქე ვარ? — მაინც ქართველი ვარ“.

სამმა კირნათელმა მამაკაცმა მთელი საქართველო აალაპარაკა და, მიუხედავად იმისა, რომ სკადალური ვიდეო სოციალური ქსელიდან მალევე გაქრა, კვლავ აქტუალურია შეკითხვა: რატომ უხმობენ აჭარაში საშველად „ვალოდიას“? ისე, იმაზე, თუ რატომ მიდიან ქართველები უკრაინულ ომში, რატომ წირავენ თავს და რატომ ექცევიან პოლიტიკური გავლენების ქვეშ, იმდენი ვილაპარაკეთ, რომ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი გამოგვეპარა: დღემდე უამრავი ქართველი რუსის ჯარში ისე მსახურობს, რომ შეკითხვა — რატომ? — არავის დაუსვამს. „ბევრნი არიან „გარუსებული ქართველები“, რომლებმაც კარგი ანაზღაურების სანაცვლოდ, პატრიოტიზმიც დაივიწყეს და ქვეყნის ინტერესებიც, წავიდნენ რუსეთში, დატოვეს საქართველოს მოქალაქეობა და წლებია, რუსულ ჯარში მუშაობენ, ოკუპანტების გადახდილი ფულით კი, საქართველოში ოჯახებს არჩენენ“, — განუცხადა „ქართულ სიტყვას“ ერთ-ერთმა ქართველმა, რომელიც რუსულ ჯარში მსახურობს. მისივე თქმით, რუსის ჯარში ქართველები, ან საქართველოს მოქალაქეები განსაკუთრებით იმ რეგიონებიდან მიდიან, სადაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, რუსული არმია იდგა. ამ მხრივ თვალშისაცემია აჭარა: მას შემდეგ რაც რუსებმა გონიოს სამხედრო ბაზა დატოვეს, ბევრი სამხედრო მოსამსახურე და ისინიც, ვისაც რუსის ჯარში არასოდეს უმსახურია, ოკუპანტებს „გაეკიდნენ“. წყაროს თქმითვე, აჭარაში თითქმის არაა ოჯახი, რომლის ერთი წევრიც რუსეთში არ იყოს გადახვეწილი. „ნახევარი აჭარა პურს რუსული ფულით ჭამს და მოენატრებათ ვალოდია, აბა, არა?!“ — ამბობს „ქართული სიტყვის“ ინკოგნიტო რესპონდენტი, რომელსაც „სკაიპით“ ვესაუბრეთ და რომელმაც, იმის შიშით, რომ მისი ვინაობა არ გამჟღავნდეს, „სკაიპი“ გააუქმა... როგორც რესპონდენტისგან შევიტყვეთ, იმისთვის, რომ უცხო ქვეყნის ჯარში იმსახურო, აუცილებლად უნდა გქონდეს ამ ქვეყნის მოქალაქეობა... ინკოგნიტო თანამოსაუბრე, როგორც თვითონ ამბობს, წლების განმავლობაში, რუსეთში „საშოვარზე“ დადიოდა, მერე კი, გონიოს სამხედრო ბაზაზე მუშაობა კონტრაქტით დაიწყო. დღეს რუსულ ჯარში, საქართველოს საზღვარზე მუშაობს და სულაც არ აინტერესებს, მის შენაერთს საქართველოში შემოსვლა მოუწევს თუ არა. ამბობს, არც ის ვიცი, ჩემი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას შევძლებ თუ არა, თუმცა ამაზე ბევრი მიფიქრიაო... მოკლედ, „გე-რე-უ“ „მოწოდების სიმაღლეზეა“ — რესპონდენტმა მხოლოდ ვინაობის დამალვა კი არა, თავისი მშობლიური სოფლის გასაიდუმლოებაც გვთხოვა. მოკლედ, „ქართული სიტყვა“ თანამედროვე აჭარელ მამლუქს ესაუბრა.

„მე ამ ოკუპანტი ქვეყნის ფულით, საქართველოში ოჯახს ვარჩენ!“ — რამდენს უხდიან რუსები აჭარელ მამლუქებს

— როგორ ხარ?

— ცოტა ჩემები და საქართველო მენატრება, თორემ ისე, თავს კაგად ვგრძნობ.

— დიდი ხანია, საქართველოში არ ყოფილხარ?

— ექვსი წელია.

— არ გიშვებენ?

— წელიწადში ერთხელ, ერთთვიან შვებულებას გვაძლევენ, მაგრამ რუსეთის მოქალაქე ვარ და ჩამოსვლა იმდენ პრობლემასთანაა დაკავშირებული, რომ საქართველოზე აღარც ვფიქრობ. ისე, ახლა იმდენად აღარ მიჭირს — ჩვენთან, „ჩასტში“ „სკაიპი“ და სხვა სოციალური ქსელები დაუშვეს და ხანდახან, როცა დრო მაქვს, ოჯახს და ახლობლებს ველაპარაკები.

— ცოლ-შვილი გყავს?

— არა, მეუღლეს გაშორებული ვარ, შვილები კი, არასოდეს მყოლია. მოხუცი მშობლები და ძმა მყავს...

— რუსის ჯარში რატომ წახვედი?

— წლების განმავლობაში, რუსეთში ვცხოვრობდი, აქაურობას შევეჩვიე. მერე, რამდენიმე წელი, გონიოს შენაერთში ვიმსახურე და როცა ამათ საქართველო დატოვეს, მეც წამოვედი.

— რუსებს ქართველები რატომ გაჰყევით? — ვიცი, მანდ ბევრნი ხართ...

— აბა, რა გვექნა? სხვა გამოსავალი გვქონდა?...

— იმისთვის, რომ თავი გერჩინა, აუცილებლად რუსის ჯარში უნდა წასულიყავი? — აქ კარგი პირობებია...

— იმაზე არასდროს გიფიქრია, რომ რუსის ჯარმა საქართველოში სისხლიანი კალო მრავალჯერ მოაწყო, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა?

— კი, მიფიქრია, მაგრამ იმ ომში მე ხომ არ მიმიღია მონაწილეობა? — ჩვენ, ქართველები ბაზაზე დაგვტოვეს, როგორც ჩანს, მაინც არ გვენდობიან.

— თუ არ გენდობიან, ესე იგი, გიყენებენ! შენმა თანამებრძოლებმა ხომ მიიღეს ქართველების წინააღმდეგ ომში მონაწილეობა. მათ როგორ ხვდები, ხელს როგორ ართმევ?

— აქ ამ თემაზე არ ვსაუბრობთ... ამათ რომ ავყვე, შეიძლება, საქმე ცუდად დამთავრდეს და არ მინდა...

— რას ჰქვია, არ გინდა? რაკი რუსეთის მოქალაქე ხარ, სამშობლო აღარ გაქვს?

— მერე რა, რომ რუსეთის მოქალაქე ვარ? — მაინც ქართველი ვარ.

— ქართველი, რომელიც საკუთარი ქვეყნის ოკუპანტს ემსახურება!

— მაქედან მართლაც ასე ჩანს, არ გამტყუნებთ, ამას ჩემებიც ხშირად მეუბნებიან, მაგრამ მე ამ ოკუპანტი ქვეყნის ფულით საქართველოში ოჯახს ვარჩენ!

— რამდენს გიხდიან? დავიჯერო, იმაზე მეტს, რასაც ქართულ ჯარში გადაგიხდიდნენ? შენ ხომ პროფესიონალი სამხედრო ხარ?

— არ ვიცი, მანდ სამხედროებს ახლა რამდენს უხდიან, მაგრამ მე რომ წამოვედი, ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო.

— არც მაშინ იყო ისეთი მდგომარეობა, რომ თავი ვერ გერჩინა!

— ხო... წამოვედი და რა ვქნა, ახლა?

— რუსის ჯარში ყოფნას კიდევ რამდენ ხანს აპირებ?

— საპენსიო ასაკი ერთ წელში მექნება, მერე, დარჩენა კიდევ ერთი წელი მომიწევს და დავბრუნდები.

— პენსიაზე გასვლის მერე, კიდევ ერთი წელი დარჩენა რატომღა მოგიწევს?

— მოსკოვის გარეუბანში ოროთახიანი ბინა მომცეს, სამი წელი გაყიდვის უფლება არ მაქვს. ერთი წელი უკვე გავიდა, ორიც მალე გავა და დავბრუნდები, თან პენსიაც დამენიშნება და ვიცხოვრებ საქართველოში!

— საქართველოში კი იცხოვრებ, მაგრამ პენსიის გამო იძულებული იქნები, რუსეთის მოქალაქე იყო! რუსული სამხედრო პენსია რამდენია?

— ბიჭებს, რომლებმაც სამსახური უკვე დაამთავრეს, პენსია აქამდე 700 ლარი გამოსდიოდათ, ახლა რუბლის კურსი დაეცა და ამბობენ, ხუთას ლარამდე ძლივს გამოდისო.

— როგორც ვიცი, შენი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაშია. მოსკოვის ბინაში ვინ ცხოვრობს?

— ქართველებზე გავაქირავე და ქირას ჩემებს უგზავნიან.

— რომ გაყიდი, მაგ ბინაში რამდენს მოგცემენ?

— 100-150 ათას დოლარს, ამით ბათუმში სახლს ვიყიდი, ცოლს შევირთავ და ვიცხოვრებ...

— საცოლე გყავს?

— კი, საქართველოში... მინდოდა, აქ ჩამომეყვანა, მაგრამ მშობლებმა არ გამოუშვეს.

— რუსები უკრაინაში ხომ არ გიპირებენ წაყვანას?

— არ მგონია... საქართველოს და, საერთოდ, კავკასიას დაცვის გარეშე არავინ მიატოვებს... უკრაინაში ხალხი, როგორც ვიცი, უფრო რუსეთის სიღრმეებში დისლოცირებული სამხედრო შენაერთებიდან მიჰყავთ...

— კარგი, აჭარელო, დაგემშვიდობები. ისე, არ გეწყინოს და, სამშობლო ფულზე არ იყიდება! დანარჩენი შენ იცი!

P.S. **როგორც იტყვიან, კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდვია. უბრალოდ, ჯანსულ ჩარკვიანის თქმისა არ იყოს, „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!“**

ნათია ვერძეული

სტოპკადრი

1 მარტიდან პური გაძვირდება

პურპროდუქტების ასოციაციის პრეზიდენტი მალხაზ დოლიძე არ გამორიცხავს, რომ იურიდიული პირებისთვის გაზის ტარიფის გაძვირებამ პურის ფასის მატება გამოიწვიოს. როგორც მალხაზ დოლიძემ განაცხადა, თუ დღევანდელი ფასებით ვიანგარიშებთ, პურის ფასი, დაახლოებით, 1 ლარამდე გაიზრდება.

„მე მაგალითად, ჩემს პურზე ვიანგარიშე და 10 თეთრი ემატება. ყველას მოემატება, მაგრამ ვერ ვიტყვი ყველას მაგივრად. გააჩნია, ვის როგორი ღუმელი აქვს. საერთოდ, ეს კარგი პროცესი არაა. ჩვენ, მეწარმეები, ველოდებოდით, რომ ფასი დაეწიათ, პირიქით, აწიეს. რომ აცხადებენ, ქართველი მეწარმეების სამეწარმეო გარემო უმჯობესდებაო, ეს არის გაუმჯობესება?“ — განაცხადა მალხაზ დოლიძემ. მისივე თქმით, ყველაზე მძიმე ტვირთად ბუნებრივი აირის გაძვირება ქართული პურის თონეებს დააწვება.

პირველი მარტიდან, თბილისში, იურიდიული პირებისთვის გაზის ტარიფი 15 თეთრით გაძვირდება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ეკა სარიამ განუცხადა.

„გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია გაზს მომწოდებლისგან დოლარის კურსის შესაბამისად ვყიდულობთ და ვყიდით ლარში, ჩვენ იძულებული გავხდით, კურსის ცვლილების გამო, გაგვეზარდა ტარიფი 15 თეთრით, ოღონდ, მხოლოდ იურიდიული პირებისთვის“, — აღნიშნა ეკა სარიამ. მისივე ინფორმაციით, დღეისათვის 1 კუბური მეტრი გაზის ტარიფი 75 თეთრს შეადგენს და 1-ელი მარტიდან 90 თეთრი გახდება.

„ცვლილება ძალაში შედის 1-ელი მარტიდან. უბრალოდ, ჩვენ შესაბამისი შეტყობინებები დავუგზავნეთ ყველა იურიდიულ პირს ერთი თვით ადრე“, — განაცხადა ეკა სარიამ.

„ინტერპრესნიუსი“

10 | № 5 (269) | 4-10 თებერვალი 2015

ქართული ოტაკარი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲣᲠᲔᲛᲘ

„ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲑᲝᲠᲝᲢᲘᲐ!“

ᲐᲛᲑᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ ᲒᲘᲐᲛᲑᲝᲗ, ᲘᲡᲔᲗᲘ „ᲑᲝᲑᲝᲚᲐ“ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲐᲛ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ �გᲐᲬᲔᲬᲕᲐᲨᲘ“ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲛᲓᲐᲡᲐᲪ ᲡᲐᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲑᲐ „ᲘᲜᲤᲛᲨᲔᲜᲘᲡ“ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲘᲙᲝ ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ, ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲐᲠ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ. ᲘᲡᲔ, ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲗᲕᲐᲛᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, „ᲘᲜᲤᲛᲨᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲢᲧᲐᲕᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲬᲘᲜ ᲐᲠ ᲬᲐᲡᲣᲚᲐ. ᲨᲔᲓᲔᲒᲘ, ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ, ᲐᲠᲪ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ ᲒᲐ�გᲖᲐᲕᲜᲘᲚᲛᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲛᲐ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, 20 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ „ᲓᲐᲐᲬᲔᲠᲐ“, ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ�გᲐᲜ“ ᲩᲐᲜᲔᲠ�გᲘᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ. „ᲮᲐᲓᲣᲠᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ“ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ!“, – ᲐᲛᲑᲝᲑᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ 71 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲐᲠᲩᲔᲜᲡ ᲓᲐ, ᲗᲣᲙᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲞᲝᲕᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲘᲰᲔᲓᲐᲕᲡ.

„ᲮᲐᲓᲣᲠᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ!“ – „ᲘᲜᲤᲛᲨᲔᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲢᲧᲐᲕᲔᲑᲘᲡ 20-ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲜᲘᲙᲝ ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ: – „ინფმშენში“ მუშაობა 1976 წელს დავიწყე და სხვადასხვა თანამდებობა მეკავა. წლებია, სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი ვარ, „ინფმშენი“ ქალაქის ინფრასტრუქტურის ობიექტებს – გზებს, მიწისქვეშა გადასასვლელებს, კორპუსებს, საქვაბეებს, წყალსადენის სათავე და გამწმენდ ნაგებობებს აშენებდა. სხვათა შორის, რესტორანი „ბერიკონიც“ ჩვენ ავაშენეთ...

აფხაზეთის ომშიც აქტიურად ვმონაწილეობდით – ერთთვიანი შვებულება ავიღეთ და დივიზია „თბილისელში“ ჩავეწერეთ, რომელიც მერე ბატალიონად გადაკეთდა. შეიძლება, ხელში შაშხანი არ გვეჭირა, მაგრამ საინჟინრო საქმე გვებარა და ესეც ბრძოლა იყო...

1997 წელს, სააქციო საზოგადოება „ინფმშენი“ შევქმენით და კარგადაც ვმუშაობდით.

– „კარგად მუშაობას“ რას ეძახით?

– მაგალითად, სასტუმრო „თბილისისა“ და „საქართველოს ბანკის“ რეკონსტრუქცია გავაკეთეთ, „მარიოტის“ მშენებლობაშიც აქტიურად ვმონაწილეობდით. პრეზიდენტის რეზიდენცია კი, თავიდან ბოლომდე, ჩვენ გავაკეთეთ.

– აკი, რეზიდენცია ვალერი გელაშვილმა ააშენაო?

– გელაშვილის ორგანიზაცია „ევრას“ პრობლემები შეექმნა... ჩვენ რომ დაგვირეკეს, ერთი სახლის მშენებლობა, სადაც უშიშროების საბჭო უნდა დამჯდარიყო, დაწყებული იყო...

– რახან რეზიდენციის მშენებლობა დაგიკვეთეს, ესე იგი, სააკაშვილთან კარგი ურთიერთობა გქონდათ, არა?

– მიშას საერთოდ არ ვიცნობდი. უბრალოდ, გაიკითხეს, გაიგეს, რომ საქმის გაკეთება შეგვეძლო და ამიტომ დაგვიძახეს.

– ბატონო ნიკო, ხომ იცოდით, „ნაციონალები“ ბიზნესმენებს რასაც უშვრებოდნენ და რეზიდენციის მშენებლობაზე რატომ დასთანხმდით?

– ჯერ ერთი, არ ვიცოდი, მეორეც, დავთანხმდი და მაინც გამწურეს, რომ არ დავთანხმებულიყავი, ხომ წარმოგიდგენიათ, რას მიზამდნენ?

– „ნაციონალებიდან“ კავშირზე პირველად ვინ გამოვიდა?

– შსს-ს მაშინდელი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც თავდაპირველად შს სამინისტროს ობიექტების მშენებლობა დაგვავალა. მერე კი, როცა თავდაცვის მინისტრად გადავიდა, ე.წ. მერვე პოლკი აგვაშენებინა.

– ბატონო ნიკა, „დავალებაში“ არაოფიციალურ ურთიერთობას გულისხმობთ თუ ხელშეკრულებას?

– ყველაფერი ოფიციალურად იყო...

– ანუ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოებისთვის ფულს გაძლევდნენ?

– ნაწილობრივ.

– „ნაწილობრივ“ რას ნიშნავს?

– ფულს თავიდან გვიხდიდნენ, მერე კი, – აღარ. როცა თავდაცვის მინისტრი გახდა, ოქრუაშვილმა დაგვავალა, 2 მილიონი უკან დააბრუნეთო.

– 2 მილიონის უკან დაბრუნება თავად ოქრუაშვილმა მოგთხოვათ?

– არა, მისმა მოადგილემ დაგვიძახა, ქალბატონმა ნანამ...

– ნანა რა გვარია?

– აღარ მახსოვს... მოკლედ, ქალბატონმა ნანამ თავდაცვის სამინისტროში დაგვიბარა, რომელიც მაშინ საბურთალოზე მდებარეობდა და გვითხრა, ბატონმა ირაკლიმ თქვა, რომ 800 ათასი ლარი უკან უნდა დაა-ბრუნოთო.

– დასთანხმდით?

– მივუგე, მოვიფიქრებ-მეთქი. ეს ის დროა, როცა ხალხს წაკუზულს იჭერდნენ. ჰოდა, ვიფიქრე, წაკუზვას ჯობია, სესხი ავიღო და ეს 800 ათასი გადავიხადო-მეთქი.

– ესე იგი, შეგეშინდათ!

– რასაკვირველია, შემეშინდა, მატროსოვი კი არ ვარ!

– თანხა „ქეშად“ უნდა გადაგეხადათ?

– არა, ანგარიშზე უნდა შემეტანა.

– ესე იგი, ბიუჯეტში?

– არა, რაღაც ანგარიშზე.

– რა ანგარიშზე?

– არც ვიცი, რა ანგარიში იყო.

– გადახდის ქვითარი არ შეინახეთ?

– მთელი საბუთები დაკარგული მაქვს...

– 800 ათასი გადაიხადეთ?

– ვიდრე გადავიხდიდი, ქალბატონმა ნანამ ისევ დამირეკა და მითხრა, რომ მილიონ 500 ათასი უნდა „დამედო“. სხვათა შორის, მოგვიანებით ეს ქალბატონიც დაიჭირეს... ბოლოს, გადასახდელი თანხა 2 მილიონზე ავიდა, მაგრამ შევაგინე, შენი და ირაკლი ოქრუაშვილის დედაც... არაფერს გადავიხდი-მეთქი. მეორე დღეს, დილით, ოფისში მივიდნენ და „აგვაყირავეს“.

– ოფისში სპეცრაზმი შემოვიდა?

– არა, ფინანსური პოლიციის განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილების ხალხი. ამ დროს ოფისში არ ვიყავი, დამირეკეს, მივხვდი, გვიჭერდნენ და მაშინვე ოფისში მივედი, სადაც ყველაფერი არეული დამხვდა. შევუტიე, რა ამბავია, „პეტეოს“ ინჟინერი და დისპეტჩერი რას გამოყარეთ, თუ რამე გინდათ, მე მითხარით-მეთქი... ჩემს კაბინეტში შევედით, ერთი გარეთ დარჩა – ტელეფონზე ლაპარაკობდა. საერთოდ, ოქრუაშვილთან შესანიშნავი, მეტიც, მამაშვილური ურთიერთობა მქონდა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვთვლიდი.

– ერთმანეთს ხშირად ხვდებოდით?

– დიახ...

– ერთად გიქეიფიათ კიდეც?

– დიახ, რესტორანშიც ვყოფილვართ და ობიექტებზეც. მავალებდა, ნიკო, ეს გააკეთე, ის გააკეთეო...

– თუკი ოქრუაშვილთან მამაშვილური ურთიერთობა გქონდათ, ფინანსური რომ დაგეცათ, რატომ არ დაურეკეთ?

– ფულის მოთხოვნები რომ დაიწყო, ტელეფონზე აღარ მპასუხობდა... მოკლედ, იმ დღეს არ დამიჭირეს – ეტყობა, ირაკლის დაურეკეს და იმან უთხრა, არ დაიჭიროთო. ხომ გეუბნებით, ოქრუაშვილთან როგორი ურთიერთობა მქონდა. მინდოდა, შინაც მიმეყვანა – სადილზე დამეპატიჟა.

– მაშასადამე, ირაკლი ოქრუაშვილი „კაი ტიპი“ გეგონათ, არა?

– ძალიან ვაქებდი... მაგასთან, გორში, სახლშიც ნაქეიფარი ვარ...

მოკლედ, მეორე დღეს, ფინანსურ პოლიციაში, მეცხრე სართულზე დამიბარეს.

– მიხვედით?

– მივედი და ვუთხარი, ფეხებითაც რომ დამკიდოთ, ფული არ მაქვს და ამ თანხას ვერ გადავიხდი-მეთქი.

– ბრალად რას გიყენებდნენ?

– არაფერს, უბრალოდ, მეუბნებოდნენ, 2 მილიონი უკან დააბრუნეო.

– სამუშაოს შესრულებისთვის სულ რამდენი გქონდათ აღებული?

– დაახლოებით, 20 მილიონი.

– ამდენი თანხა ერთ შენობაზე დაიხარჯა?

– არა.

– აბა?

– „მერვე პოლკის“ კაპიტალური რემონტი, დაახლოებით, 5 მილიონი დაჯდა, ზუგდიდში, ერთ შენობაზე 2 მილიონამდე დავხარჯეთ. პროკურატურის 8 შენობა გავაკეთეთ, საიდანაც ზოგი ნახევარი მილიონი დაჯდა, ზოგიც – ერთი მილიონი...

– ბოლოს და ბოლოს, ორი მილიონი გადაიხადეთ?

– თვითონ მითხრეს, ბანკიდან სესხს აგაღებინებთ, გადაიხდი და არ დაგიჭერთო. ასეც მოვიქეცი – არ დამიჭირეს და მუშაობა გავაგრძელე.

– საქმიანი ურთიერთობა ისევ ოქრუაშვილთან გქონდათ?

– არა, ვანო მერაბიშვილთან – ამ დროს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს შენობის რეკონსტრუქციას ვაკეთებდით... სხვათა შორის, ერთი ობიექტი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვართანაც გვქონდა, როცა ოქრუაშვილი და ჟვანია ერთმანეთს დაეტაკნენ, ოქრუაშვილს დავურეკე და ვუთხარი, თუ დაგჭირდა თქვი, „ინჟმშენმა“ ეს 300-ათასიანი ობიექტი თავისი მოგებიდან გააკეთაო. მერე, ვანოს დროს, ამ მოგებიდან თანხა ხელახლა გადამახდევინეს – საბურთალოზე, სადაც ახლა პოლიციაა, ადრე აბანო იყო და მის გადაკეთებაში 300 ათასი არ მომცეს. ყველაფერ ამაში ის სათვალიანიც მონაწილეობდა.

– ადეიშვილი?

– დიახ, მაგან დამიჭირა. ადეიშვილია ყველაზე ბოროტი!

– რომელ წელს დაგიჭირეს?

– 2010-ში.

– ციხიდან „ოცნების“ ამნისტიით გამოხვედით?

– არა, კაცო, ყველაფერს გეტყვით, მაცადეთ...

– კი ბატონო, გისმენთ... ოქრუაშვილი ოპოზიციაში რომ წავიდა, მასთან ურთიერთობა აღადგინეთ?

– აპა-პაპა-პაპა...

ზემოხსენებული 300 ათასის გარდა, ენერგეტიკის სამინისტრომ მილიონ 700 ათასი არ გადაგვიხადა. არც პროკურატურა გვიხდიდა...

– თუ არ გიხდიდნენ, მუშაობას რატომღა აგრძელებდით?

– იმიტომ ვაგრძელებდი, რომ არ დავეჭირე...

– ბოლოს და ბოლოს, „ინჟმშენზე“ უარი გეთქვათ... „ნაცმოძრაობის“ ე.წ. შემომწირველიც იყავით?

– დამირეკავდნენ ხოლმე, ამდენია საჭიროო და შემქონდა...

– „ნაცმოძრაობას“ სულ რამდენი შესწირეთ?

– მახსოვს, ერთხელ, 30 ათასი შევიტანე...

– ბატონო ნიკო, რაღა დაგიმალოთ და, ვერ გავიგე: ფულს, ასე თუ ისე, იხდიდით და რატომღა დაგიჭირეს?

– აგიხსნით... ყველაფერს ქრონოლოგიურად გიყვებით... ადეიშვილის პროკურატურის შენობებს რეკონსტრუქციებს ვუკეთებდით, 360 ათასი უნდა გადაეხადა, მაგრამ არ მოგვცა და არც მოგვითხოვია. ამ სამუშაოებიდან 10-პროცენტიანი მოგება გვეკუთვნოდა, მაგრამ მოგებაში მხოლოდ 2 პროცენტი გვეწერა. ერთხელ, ვთხოვე, შენი პროკურორები მეუბნებიან, კარ-ფანჯრები შეგვიცვალეო და იქნებ, მოგება გაგვიზარდო-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა...

მოკლედ, ჩემი მუშაობით უკმაყოფილონი არ უნდა ყოფილიყვნენ.

– ამასობაში, მიშა გაიცანით?

– დიახ, ერთხელ, რამდენიმე ადამიანთან ერთად, მის კაბინეტში შევხდი, თუმცა ხანდახან მშენებლობაზეც გამოივლიდა ხოლმე.

– სააკაშვილის კაბინეტში რაზე ილაპარაკეთ?

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-11 ᲒᲕ.

„ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲕᲗᲮᲝᲕ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲘᲝᲜ, ᲗᲣ ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲘᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑ!“

ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4-10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015

№ 5 (269)

11

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲤᲣᲠᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

მანქანა/მექანიზმები
PLANT / MACHINERY
Машины и механизмы

ᲛᲔ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

– მშენებლობაზე... ამ დროს ე.წ. საქმეთა მმართველი უკვე ადეიშვილი იყო და ხალხს პოლიციაში ეძახდნენ, სამუშაოები მალე დაასრულეთო, მაგრამ ჩემთვის არავის არსად დაუძახია – მართლაც, კარგად, სამ ცვლაში ვმუშაობდით... სხვათა შორის, ვალის ნაცვლად, მიშას რეზიდენციიდან ფანჯრები მომცეს.

– რატომ?

– დააყენეს, არ მოეწონათ, მოხსნეს და მომცეს. ახლაც საწყობში მიწყვია... იმის გამო, რომ ფული ბოლომდე არ გადამიხადეს, დღგ გადასახდელი დამრჩა.

ამის შემდეგ, ქვემოიჯარესთან ერთად, კიდევ ერთი დიდი – 25-მილიონიანი ტენდერი მოვიგეთ. სწორდ ამ დროს, ინფრასტრუქტურის მინისტრად ყოფილი პოლიციელი, რამაზ ნიკოლეიშვილი მოვიდა, რომელსაც გულზე არ ვეხატებოდით.

– ანუ, ნიკოლეიშვილს უნდოდა, რომ სახელმწიფო ტენდერები „მისიანებს“ მოეგოთ?

– ალბათ... მოკლედ, დამიჭირეს.

– ესე იგი, ნიკოლეიშვილის წაფითილებით დაგიჭირეს?

– ნიკოლეიშვილისა და სხვა პიროვნებების...

– კიდევ ვისი?

– ახლა არ დავასახელებ...

– კარგი...

– სიმართლე გითხრათ, ნიკოლეიშვილის გამო კი არ დამიჭირეს, არამედ, ერთ-ერთ პიროვნებასთან ფული მიმატანინეს.

– რა მიზნით?

– ამ პიროვნებას ობიექტს ვუშენებდი. ერთხელ, მითხრა, სააკაშვილისთვის ფული უნდა „გამითეთროო“. ვუპასუხე, ანგარიშფაქტურები მუშაობს და „გათეთრება“ შეუძლებელია-მეთქი. თუ არ „გაათეთრებ“, ორივეს დაგვიჭერენო. რაღა უნდა მექნა? – ფული გადმომირიცხა, გამოვიტანე და გადავეცი, თან საბუთი დავწერეთ და ხელიც მომიწერა, თითქოს მის ობიექტზე რაღაც სამუშაო შევასრულეთ. ამ პიროვნებამ მითხრა, ძმაო, ეს ფული იქ მიმაქვს და ყველაფერზე პასუხისმგებელი ვარო.

– რამდენი „გაათეთრეთ“?

– ორი მილიონი... 2010 წლის ივლისში, შემოწმებაზე შემოვიდნენ, თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ აგვისტოში საქმე გამწვავდა და 31 აგვისტოს დამიჭირეს.

– ფულის „გათეთრება“ როდის მოხდა?

– 2009-2010 წლებში, თუმცა ამ „გათეთრებიდან“ არაფერი მიმიღია. ეს კი არადა, დღგ-ც მე გადამახდევინეს...

– რომ დაგიჭირეს, მოდულ-ში წაგიყვანეს?

– არა, დიღომში, ჩემს გარემონტებულ პოლიციის სამმართველოს „კაპეზეში“, სადაც მესამე დღეს ცუდად გავხდი...

– „კაპეზეში“ რას გეუბნებოდნენ?

– „ტუფტა“ საბუთების გამო, ბუღალტერს და „პრარაბებს“ იჭერდნენ, ვუთხარი, ეგენი რა შუაში არიან, დამნაშავე მე ვარ-მეთქი.

– ის პიროვნება, ვინც ფულის „გათეთრება“ გაიძულათ, არ დაასახელეთ?

– არა.

– რატომ?

– მითხრა, გიშველიო. ჩემი ადვოკატი არჩილ კბილაშვილი იყო. როგორც ადვოკატი ძლიერია, მაგრამ როგორც პიროვნება – უვარგისი.

– ამას რატომ ამბობთ?

– მთავარი პროკურორი რომ გახდა, შევხვდი. მითხრა, განცხადება შემოიტანეო.

– შეიტანეთ?

– დიახ, ერთი კი არა, რამდენიმე – აქ ათასი საკითხია, მაგრამ ჯერ ერთზე ვლაპარაკობ...

– გირაოთი გაგათავისუფლეს?

– მილიონი უნდა გადამეხადა.

– რა ბრალდებას გიყენებდნენ?

– საგადასახადო დოკუმენტების გაყალბებას... ვიჯექი ერთი თვე, ორი, მერე, ადვოკატის პირით შევუთვალე...

– ანუ, კბილაშვილის პირით?

– არა, კბილაშვილმა თქვა, საქმეში მონაწილეობას მაშინ მივიღებ, თუ საგნობრივი განხილვა იქნებაო. ამიტომ, სხვა ადვოკატი ავიყვანე...

– საპროცესოს გაფორმება დაჭერისთანავე შემოგთავაზეს?

– არა, მამზადებდნენ... მოკლედ, იმ პიროვნებას, რომელსაც არ ვასახელებ, კაცი გავუგზავნე, მაგრამ განაცხადა, ნიკოსთან საქმე არ მქონიაო. გამომძიებელთან შეხვედრა ვითხოვე, რომელსაც ვუთხარი, ასე და ასე იყო-მეთქი... ჰოდა, გამოძიებასთან, ასე ვთქვათ, ვითანამშრომლე. ჩემს ცხოვრებაში არავინ „ჩამიშვია“, მაგრამ რა მექნა? – ჯანმრთელობის პრობლემა მქონდა...

– ციხეში გემუქრებოდნენ?

– არა...

– „კაპეზედან“ გლდანის ციხეში გადაგიყვანეს?

– დიახ...

– არც „კარანტინის დაშლის“ დროს გცემეს?

– არა, გადავრჩი.

– როგორ?

– „კამერაში“ რომ შემოვიდნენ, ჩემზე თქვეს, ბებერია, თან ავადაა და დავტოვოთო. სხვები გაიყვანეს და უბრაგუნეს, შემრცხვა, მაგრამ რა მექნა?!

– საპროცესო რომ გადაგეხადათ, ისევ სესხი აიღეთ?

– საპროცესო კი არა, საგადასახადო შეთანხმება გამიფორმეს, რომლის დასაფარადაც, მხოლოდ ჩემი კი არა, მძახლის, სიძის, მთავარი ბუღალტრის სახლები, ასევე, აგარაკი და მთელი „ინჟმშენის“ ქონება, რომელიც 20 მილიონი ღირს, გირაოში ჩავდეთ.

– ეს ქონება ახლა ვისია?

– ეგენი „საქართველოს ბანკის“ მეშვეობით მუშაობდნენ. ახლა, გამოსახლების პირას ვართ...

– ბატონო ნიკო, ციხიდან, საბოლოო ჯამში, რა თანხის სანაცვლოდ გამოგიშვეს?

– 2-მილიონიანი საგადასახადო შეთანხმება გამიფორმეს, პლუს, სამ თვეში ერთი მილიონიც უნდა გადამეხადა, მაგრამ ეს ერთი მილიონი ვერ გადავიხადე, საიდან უნდა გადამეხადა? – ყველა ობიექტი ერთმანეთში აურ-დაურიეს.

– რას გულისხმობთ?

– ერთი ობიექტიდან თანხა მეორეზე გადამარიცხნეს, აქეთ-იქით, მთელი ამბავი ატყდა და იცით, რატომ? – წყალტუბოში, პარლამენტარებისთვის აგარაკები სჭირდებოდათ. სანატორიუმ „მეშახტედან“ ხალხი უნდა გამოესახლებინათ და მის ნაცვლად ათი სახლი უნდა ჩაგვებარებინა, მაგრამ ვერ ვაბარებდი – ციხიდან ახალი გამოსული ვიყავი და ვერ ვასწრებდი, თან სამუშაოები ორ წელში უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ერთი წელი თვითონ არ გვამუშავეს – ტერიტორია წესიერად არ ჰქონდათ გამოყოფილი, სხვა პრობლემებიც არსებობდა. ბოლოს, ობიექტის დასამთავრებლად 8 თვეღა მქონდა, დავამთავრე, მხოლოდ 4 სახლის მოპირკეთება ვერ მოვასწარი. ამის გამო გამოგვყარეს და ჩვენი ქვემოიჯარე ორგანიზაცია დატოვეს, რომელსაც ფულს ჩვენგან უხდიდნენ. ამ ორგანიზაციას ვადაც მოუმატეს და ობიექტი დაამთავრებინეს, ვალები კი მე ამკიდეს და დღეს სწორედ ამაზე მედავებიან.

– ყველაფერი ეს რომელ წელს მოხდა?

– 2011-ში.

– ანუ, „ოცნება“ უკვე არსებობდა?

– ვიდრე „ოცნება“ გამოჩნდებოდა, რამდენიმე ტენდერი მოვიგე, მაგრამ დაწერეს, რაღაცები არასწორად გქონიაო და გამომაგდეს, ერთი ტენდერის შედეგები კი, საერთოდ გააუქმეს. როცა ტენდერში მონაწილეობ, ბანკი გარანტიას გაძლევს. ერთ-ერთი ტენდერი რომ მოვიგეთ, ბანკმა გარანტიაზე უარი გვითხრა და დისკვალიფიკაცია მოგვცეს...

2011 წლის ივლისსა თუ აგვისტოში დამიძახეს და მითხრეს, ერთი მილიონი ხომ გაქვს გადასახდელი, ქალაქის პროკურატურა ააშენე და ამ თანხას გადახდილად ჩაგითვლითო.

– დასთანხმდით?

– დიახ... ფული აღარ მყოფნიდა, მაგრამ ეს სამუშაო ე.წ. საქველმოქმედო საქმიანობით, ანუ დღგ-ს გარეშე შემასრულებინეს. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს მივწერე, ასეთი მდგომარეობაა, ეს შენობა ჩემია და დამიბრუნეთ-მეთქი.

– მერე, რაო იუსტიციის მინისტრმა, რა გიპასუხათ?

– ჩემი განცხადება პროკურატურას გადაუგზავნა, ყველაფერი გაარკვიეო.

– მოკლედ, ბატონო ნიკო, დღეს რა პრობლემა გაქვთ?

– „ნაციონალებმა“ ყველაფერი წაგვართვეს, ახლა კი, იგივე ხალხი გვამონმებს.

– მაინც, ვინ „იგივე ხალხი“?

– ფინანსური სამსახური, რომლის ჯგუფის უფროსიც ისევ ისაა, ვინც მაშინ იყო – გიორგი წიქარიშვილი.

– ბატონო ნიკო, „ოცნების“ წევრი ხართ?

– არა. უბრალოდ, ხელისუფლება რომ შეიცვალა, პროკურატურაში განცხადება შევიტანე, მაგრამ არ იძიებენ.

– რატომ?

– აი, ნახეთ, პრემიერ-მინისტრს მივწერე:

„მოგახსენებთ, რომ 2012 წლის ნოემბერში მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას სს „ინჟმშენისა“ და პირადად ჩემს მიმართ სააკაშვილის მთავრობის მიერ ჩადენილი სისტემური დანაშაულის გამოძიების თაობაზე. საქმე აღძრულია და მესამე წელია, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში იმყოფება. გამოძიება დაიწყო და, პრაქტიკულად, შეჩერებულია ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო (გამომძიებელი ქალბატონი ნინო ქავთარაძე). ვინაიდან ორგანიზაცია და ჩვენც ვიმყოფებით გაუსაძლის პირობებში, გთხოვთ, გასცეთ განკარგულება, რომ საქართველოს პროკურატურამ და საფინანსო პოლიციამ დროზე დაასრულონ გამოძიება და მოითხოვონ ამ საქმის ირგვლივ დამნაშავეების დასჯა“.

პრემიერისგან პასუხი მოვიდა:

„საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს – სათანადო რეაგირებისთვის გეგზავნებათ საქართველოს პრემიერის სახელზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შესული სააქციო საზოგადოება „ინჟმშენის“ წარმომადგენლის, ნიკოლოზ შარაბიძის წერილი. გთხოვთ, განიხილოთ წერილში არსებული საკითხი და პასუხი აცნობოთ დაინტერესებულ მხარეს“.

– ბატონო ნიკო, თქვენი აზრით, გამოძიება რატომაა გაჩერებული?

– იმიტომ, რომ პროკურატურაში ჩანერგილი „ნაციონალები“ მხოლოდ ჩვენ კი არა, მთავრობასაც ყოველმხრივ ზღუდავენ!

– წელან მითხარით, რომ კბილაშვილთან, როცა მთავარი პროკურორი იყო, მიხვედით. რატომ არ დაგეხმარათ?

– ვთხოვე, გამოსახლება მაინც შემიჩერე-მეთქი, მაგრამ ვერ დამეხმარა.

– რატომ?

– კბილაშვილმა დაავალა, რომ საქმე შეესწავლათ, მაგრამ მეორე დღეს დამირეკეს და მითხრეს, ვერაფერს გავაკეთებთო.

– ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა არ გიცდიათ?

– არ ვიცი, როგორ უნდა შევხვდე...

სხვათა შორის, აშშ-ის საელჩოს გამშვებ პუნქტს ვუკეთებდით, ამ საქმეზე ახლა რაღაც ამოქექეს, ჩვენ არც დაგვიძახეს და დაგვაჯარიმეს.

– რამდენით?

– 63 ათასით... მაგათ ვუთხარი, თუკი ასეა, ჩემი ფული და ქონება, რაც წაიღეთ, დამიბრუნეთ და მერე შემამოწმეთ-მეთქი.

– რა პასუხი გაგცეს?

– თქვენს თხოვნას დავაკმაყოფილებთო, მაგრამ არ დააკმაყოფილეს.

– ესე იგი, „ოცნებამ“ ვერ გიშველათ?

– ვერა, რადგან ხადურის უწყება „ნაციონალების“ მეთოდებით მუშაობს!

– რას აპირებთ, ბატონო ნიკო?

– ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს ვთხოვ, რომ სიმართლე გაარკვიონ, თუ არადა, ჩემს თავს მე თვითონ მივხედავ და ჩემი ოჯახის გაუბედურებას არავის ვაპატიებ!

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, ცნობილი გახდა, რომ მთავარ პროკურატურაში, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ახალი სპეციალიზირებული სტრუქტურული დანაყოფი – „სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი“ შეიქმნა. მართალია, ახალი დეპარტამენტის, ასე ვთქვათ, ფუნქციების პრეზენტაცია ჯერ არ გამართულა, მაგრამ არსებული ინფორმაციით, მისი ერთ-ერთი მოვალეობა იმ განცხადებების შესწავლაც იქნება, რომლებიც წართმეულ ქონებას შეეხება. ასე რომ, იმედის, როგორც იტყვიან, პატარა ნაპერწკალი ისევ არსებობს. იმას, სამართალი ისევ ურმით ივლის თუ „სამართლიანობის აღდგენის პროცესი“ წარმატებით დასრულდება, მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს. სხვა რა დაგვრჩენია, დაველოდოთ...

ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

12 № 5 (269) 4-10 თებერვალი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲜᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენგან

:
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქა

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ

ᲐᲜᲘ ᲛᲘᲠᲝᲢᲐᲫᲔ: „ᲘᲣᲠᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲢᲔᲮᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ!“

„ᲔᲙᲐ ᲧᲣᲨᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲫᲔ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲪᲘᲜᲐᲠᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲠᲔᲙᲐᲕᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ, ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲣᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲓᲐᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲐ. ᲘᲡᲘᲪ ᲓᲐᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲔᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲣᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ. ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲕᲐᲠ, ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲯᲓᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲡ! ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲡ ᲔᲑᲠᲫᲝᲚᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲠᲐᲡ ᲔᲠᲩᲘᲗ?!“

უმრავლესობის წევრი, „ფორუმელი“ ანი მიროტაძე ფიქრობს, რომ თუკი იური ვაზაგაშვილის სკანდალური მკვლელობა არ გაიხსნება, ეს „ოცნების“ ხელისუფლებისთვის გარდამტეხი ფაზა იქნება.

– ანი, კოალიციაში რა ხდება?

– მშვიდობაა.

–„ეროვნული ფორუმი“ აღარ აქტიურობს. კახა შარტავა არ ჩანს... გუბაზ სანიკიძეს ისევ სძინავს?

– არ ვიცი, გუბაზს როდის ეძინა... ბევრისგან გამიგონია, რომ „ეროვნული ფორუმი“ პოლიტიკურ ასპარეზზე აღარ ჩანს. სინამდვილეში კი, „ფორუმის“ წევრები წარმატებით აგრძელებენ პარლამენტში პოლიტიკურ საქმიანობას. კახა შარტავა ის ლიდერია, რომელიც პარტიის ყველა წევრს იცნობს... „ფორუმი“ კოალიციაში ყველაზე გამართული პოლიტიკური გუნდია.

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები თანდათან აქტუალური ხდება – ამის ალბათობას ბიძინა ივანიშვილიც უშვებს. მოქმედი პარლამენტი დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევს?

– საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის საქმიანობაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. საქმეს პარლამენტის თავმჯდომარეც წარმატებით უძღვება. პირადად ჩემთვის, პარლამენტარობა ახალი ამპლუაა, თავიდან უფრო მეტს ვფიქრობდი, ვიდრე ვმოქმედებდი.

– ანი, ამ პარლამენტმა ცემა-ტყეპის რეკორდი მოხსნა...

– ასეთი ფაქტები სხვა მოწვევის პარლამენტებშიც იყო, მაგრამ ეს ჩვენს პასუხისმგებლობას არ ხსნის. საზოგადოებისთვის თავის რჩეულთა ასეთი საქციელი მძიმე საყურებელია.

– 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულ პროცესად, ხალხის ნების გამოვლინებად შეფასდა. ამ ფონზე, პარლამენტში იმ დონის ჩხუბი, როცა პარლამენტარები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შარვალჩახდილები დასდევენ, მართლაც, სამარცხვინოა.

– გეთანხმებით...

– ისე, დეპუტატმა ქალბატონმა მანდილის ჩაგდება ყასიდად მაინც რატომ არ სცადეთ, მით უმეტეს, რომ მერვე მოწვევის პარლამენტმა საქმიანობა ე.წ. დრეს-კოდის კანონის მიღებით დაიწყო...

– (იცინის) ჩიხტიკოპები არ გვქონდა, თორემ შეიძლება, რამე მსგავსი მომხდარიყო. ვფიქრობ, წესრიგის დამრღვევ კანონმდებლებისთვის დაწესებული სადამსჯელო სანქციები, რაც ერთი დღის ხელფასის დაკავებას გულისხმობს, საკმარისი არაა. თუ პარლამენტარი ვერ ხვდება, რომ საპარლამენტო დარბაზში საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პირდაპირი სატელევიზიო ეთერის რეჟიმში მუშაობს, მასზე გაცილებით უფრო მკაცრი სანქციებია გასატარებელი. ასე თუ გაგრძელდა, საქართველოს მოსახლეობა ფიქრს თავის არჩეული ხელისუფლების შეცვლაზე დაიწყებს.

– კულისებში მომხდარს აანალიზებთ?

– ყველა ცალ-ცალკე ამბობს, არ უნდა მომხდარიყოო, მაგრამ აფექტის მდგომარეობაში ვერაფერს განსაზღვრავ.

– ანუ, მტყუან-მართლის გარჩევა ძნელია, არა?

– ძნელია, თუმცა გამომწვევი მიზეზი ყველასთვის ცნობილია. არ იცით, რა რთულია „ნაციონალ“ პარლამენტარებთან ერთად ჯდომა, თუმცა პარლამენტარს თმენის ვალდებულება აქვს, დარბაზში მუშტიკრივი რომ არ გამართოს. ჩემი პროფესია, ჟურნალისტობა მეხმარება, მოვლენებს გვერდიდან შევხედო და საკუთარი თავი ვაკონტროლო. ბოლოს, ეს უკვე ჩვევაში გადადის.

– ჩვენში დარჩეს და, ზურაბ ზვიადაურსაც „ცუდი სამსახური“ თავისმა პროფესიამ გაუწია – დარტყმას დარტმითვე უპასუხა. ანი, თმენის ვალდებულება ახსენეთ და, შინაგან საქმეთა ან უკვე ყოფილი მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის „ავადსახსენებელ“ საპარლამენტო გამოსვლაზე, როცა „თალიბანი“ პიროვნებად გამოაცხადა, რატომ გაიცინეთ?

– ამის შესახებ ბევრჯერ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: დამთხვევა მოხდა. დარბაზში ორი მიკროფონი იყო ჩართული – ერთში მინისტრი საუბრობდა, მეორეში კი, თინა ხიდაშელის ხმა ისმოდა – კოლეგას, სოსო ვახტანგიშვილს სასაცილო ამბავს უყვებოდა. ვცდილობდი, თინასთვის ხმა მიმეწვდინა, რომ დარბაზში მისი სიცილი ისმოდა. სწორედ ამ დროს გაისმა მინისტრის ცნობილი ფრაზა. სიმართლე გითხრათ, სიტყვა „თალიბანი“ იმ კონტექსტში რომ გამეგონა, თავს ვერ შევიკავებდი. ესაა ამ ამბის თავი და ბოლო.

– როცა შს მინისტრად ინიშნებოდა, პარლამენტმა ალექსანდრე ჭიკაიძეს მხარი დაუჭირა, აქო, ადიდა, ხოტბა შეასხა, მაგრამ გაირკვა, რომ ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვეოდა... ახლა ქება-დიდებას ვახტანგ გომელაურის მიმართ არ იშურებთ... რა ვქნათ, გენდოთ?

– ჭიკაიძე გადადგა...

– ვიცი...

– მოდით, ისტორიას გადავხედოთ: კახა თარგამაძის შინაგან საქმეთა მინისტრობიდან გათავისუფლებას საქართველოს პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას გადადგომა დასჭირდა. ვანო მერაბიშვილის „მოღვაწეობა“ საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საკუთარ თავზე გამოსცადა – მაშინ პოლიტიკური ნიშნით დევნა და პირად ცხოვრებაში ჩარევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რაც შეეხება ვახტანგ გომელაურს, ის გაწონასწორებული და წესიერი კაცია. ორი წელია, ჩვენი ხელისუფლების პირობებში, სახელმწიფო სამსახურშია... მთავარია, წინა ხელისუფლების მსგავსი შეცდომები არ დაგვიგროვდეს, როცა ძალოვანთა უზარმაზარ პოტენციალს აკუმულირება გაუკეთეს და მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართეს. ახალმა მინისტრმა შსს-ში სასწრაფოდ რეფორმები უნდა დაიწყოს და კვალიფიციური კადრებით დააკომპლექტოს. რეფორმების მიზანი კი, მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვაა.

– ანი, იური ვაზაგაშვილის მკვლელობის მერე, რამდენიმე კოლეგასთან ერთად, პარლამენტში ძალოვანი უწყებების მისვლა მოითხოვეთ, თუმცა უმრავლესობამ მხარი არ დაგიჭირათ. ამას რითი ხსნით?

– ისეთი სისასტიკე, რაც კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში მოხდა, არ მახსენდება – შვილის საფლავს სიმართლის მძებნელი მამა დააკლეს და თუკი მკვლელებს ეს შერჩათ, საზოგადოებაში პანიკა დაითესება. ეს მორიგი გაუხსნელი კი არა, ამ ხელისუფლების გარდამტეხი საქმე იქნება!

წინა კვირის დასაწყისში გენერალურ პროკურორს შევხვდით, რომელიც შეგვპირდა, რომ შედეგს რამდენიმე დღეში დადებს. ჩემთვის რამდენიმე დღე რამდენიმე დღეა და არა – თვე.

– ანუ, პრინციპული იქნებით?

– როცა ვაზაგაშვილების მკვლელობის საქმეები გაიხსნება, მაინც დარჩება შეკითხვები. კერძოდ, ამდენი ხნის განმავლობაში ხელს ვინ აფარებდა ჯერ შვილის და მერე მამის მკვლელებს. ამ უკანასკნელის საქმე ცხელ კვალზე არ გაიხსნა. აქ მხოლოდ უწყებებში ფესვგადგმული „ნაციონალების“ კი არა, „ოცნების“ ხელისუფლებაში მყოფი მოხელეების ბრალეულობაც გამოიკვეთება, რომელთაც გამოძიებას ხელი შეუშალეს.

– „ნაციონალები“ „ოცნებისგან“ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის გამოძიებას დაჟინებით ითხოვენ...

– მოდით, შეკითხვა ასე დავსვათ: ექვსი თვის ბარბარე რაფალიანცის მკვლელობაზე რატომ არაფერს ამბობენ?

– ამ საქმეს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა და მოქმედმა პრემიერმა თავის დროზე „მუნდირის ღირსების საქმე“ უწოდა, მაგრამ დღემდე გამოუძიებელია...

– როცა ჩემს ქვეყანაში ბავშვები ქვევრში იხრჩობიან, როგორც მოქალაქეს და როგორც პოლიტიკოსს, პროტესტის გრძნობა მიჩნდება. ბარბარე რაფალიანცის საქმე ჩემთვისაც „მუნდირის ღირსების“ საქმეა. 2012 წლის 30 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე, არჩევნების მიუხედავად, ხელისუფლება ისევ „ნაციონალების” ხელში იყო. ამ დროის განმავლობაში საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა, საქმე, რომელიც შეიძლებოდა ცხელ კვალზე გახსნილიყო, „ოცნებამ“ აბსოლუტურად გაუხსნელი გადაიბარა. როგორც პარლამენტარი, თავს არ ვიმართლებ, მაგრამ ეს ფაქტია.

– ამბობენ, ჭკვიანი მტერი ბრიყვ მოყვარეზე საშიშიაო „ნაციონალები“, დამარცხების დღიდან, თქვენს დისკრედიტაციას ცდილობენ...

– ჩემი აზრით, ჭკვიანი მტერიც საშიშია და ბრიყვი მოყვარეც.

– „ოცნება“ „გაჭედილია“?

– ბევრი შეცდომა გვაქვს, მაგრამ იმ დანაშაულებისგან, რაც „ნაციონალების“ ხელისუფლებას ხალხის წინაშე აქვს ჩადენილი, ძალიან შორს ვართ!

– მანანა კობახიძე დარწმუნებულია, რომ „ნაციონალები“ ქვეყანაში მასობრივი ფსიქოზისა და არეულობის აპოკალიფსურ სურათს ხატავენ. თქვენც ასე ფიქრობთ?

– საზოგადოების განწყობა ზუსტად ვიცი. ხალხმა სწორი გადაწყვეტილება ძალიან რთულ სიტუაციაში მიიღო. ყოფილმა მმართველმა ძალამ როგორი აპოკალიფსიც უნდა დახატოს და თავი ბატკნად წარმოაჩინოს, მას ყავლი გაუვიდა – „ნაციონალები“ ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდებიან! ხალხს, შეიძლება, ფულიც გადაუხადონ, მაგრამ ყველამ იცის, ადამიანებს როგორ

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-13 ᲒᲕ.

„ᲠᲝᲪᲐ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ. ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲕᲘᲜ ᲐᲤᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲯᲔᲠ – ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲡ. ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲪᲮᲔᲚ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ. ᲐᲥ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲤᲔᲡᲕᲒᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲔᲣᲚᲝᲑᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲨᲐᲚᲔᲡ“.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4-10 თებერვალი 2015

№ 5 (269)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲣᲤᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

დეპუტატის საათი

მე-12 გვერდიდან

აშანტაჟებდნენ, კლავდნენ, ციხეებში ყრიდნენ და აწამებდნენ. დღეს ორჯერ ნაკლები პატიმარი და ბევრად ნაკლები პრობაციონერი გვყავს, ოჯახები არ არიან შეწუხებულნი და დაშინებულნი. ამ მონაპოვარს გაფრთხილება უნდა.

— სამაგიეროდ, ხალხს გაუფასურებული ლარის ეშინია...

— ის, რომ ეკონომიკური პრობლემები გვაქვს და ლარის კურსი მერყეობს, იმას არ ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ უვარგისია. ხალხს იმაზე მეტი სჭირდება, ვიდრე ვაძლევთ. კეთილი ინებონ და პროფესიონალებმა თავიანთი საქმე აკეთონ.

— ანი, პირდაპირ მითხარით: ლარი ჯანმრთელადაა?

— საკუთარ მაგალითზე გეტყვით: ბანკის ვალს ვიხდი და ზუსტად ვიცი, ლარი რამდენად „ჯანსაღადაა“.

— პრემიერის თქმით, წელი მძიმე იქნება, არადა, ყოფილი პრემიერი ამბობდა, „ოცნების“ მესამე წელი წარმატების დასაწყისი იქნებაო...

— არ მივეკუთვნები იმ პოლიტიკოსთა კატეგორიას, რომლებიც დღეს აცხადებენ, ყველაფერი კარგადააო, მერე კი, მოუნდებათ და გადათქვამენ. მართალია, რთული მოცემულობაა, მაგრამ ამის გადალახვას შევძლებთ. ეკონომიკაში ჩემი პროგნოზები არ გამოდგება, მაგრამ მთავარია, რომ სხვანაირი მთავრობა გვყავს!

— როგორც ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, „პასუხისმგებლიანი მთავრობა“...

— ნამდვილად ვიცი, რომ პრემიერი და მისი გუნდი ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობენ, რათა ქვეყანაში შედეგი დადგეს. ვიმეორებ: გვაქვს შეცდომები, რომლებიც გამოსწორებადია.

— და პრობლემები რეალურია თუ „ნაციონალების“ შავი პიარის შედეგი?

— კითხვითვე გიპასუხებთ: არ ელოდებოდით, რომ წლების განმავლობაში ყველა სფეროში დაღლილი პრობლემები ერთბაშად თავს იჩენდა?

— ველოდებოდი, მაგრამ...

— გეგონათ, მყისიერად გადაწყდებოდა ქვეყანაში ყველა პრობლემა, არა?

— მყისიერად გადაწყვეტას კი არა, ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ, თანმიმდევრულ, თუნდაც მრავალწლიან გეგმას ველოდი. სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი ჩანს. პროცესები ქაოტური და სპონტანურია... „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ — ეს ლოზუნგი, როგორც ჩანს, ყველა მთავრობის პრობლემაა, თან სტრუქტურებში ისევ „ნაციონალები“ მუშაობენ...

— ათი წლის განმავლობაში გამოზრდილი კადრების გაშვება ადვილი არაა, ამ შემთხვევაში, ძალოვანებს არ ვგულისხმობ. ამა თუ იმ სახელმწიფო მოხელეს, რომელიც თუნდაც მოწინააღმდეგე პარტიის აქტიური მხარდამჭერია და შენიანი არასოდეს გახდება, როგორ გაუშვებ? დღეს საქართველოში პოლიტიკური კულტურის პრობლემა დგას: როცა სტრუქტურაში ამა თუ იმ პოზიციაზე ხარ, შენი ძირითადი მოტივაცია ის კი არ უნდა იყოს, პარტიას რა სჭირდება, არამედ, ის, ქვეყანას რაც სჭირდება. ყველა მიმართულებით იგრძნობა საბოტაჟი. ზუსტად ვიცი, სადაა ზღვარი მხარდაჭერასა და დანაშაულს, სიტყვის თავისუფლებასა და კანონდარღვევას, მორალს და ზნეობას შორის...

— ანი, „კაბელების საქმეზე“ დაპატიმრებულთა აღმკვეთი ღონისძიების შეცვლაზე თქვენი ხელმოწერა ბიძინა ივანიშვილთან იყო შეთანხმებული?

— არა, ასეთ საკითხებს არავისთან ვათანხმებ.

— არც ღია მესიჯი იყო, „ეროვნული ფორუმი“ „ოცნებას“ ემიჯნება?

— დაპირისპირება არაფერ შუაშია, მათი გათავისუფლება ქვეყანაში პოლიტიკურ დაძაბულობას მოხსნიდა. არ მინდა, ვისმინო შეფასებები, რომ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ტყვეები არიან. მხარი დავუჭირე პროცესს, რომ გისოსებს მიღმა სიმართლე დადგეს. თუ დანაშაული აქვთ ჩადენილი, პასუხი აგონ, თუ არადა, დაუმსახურებლად ადამიანის დასჯა უზნეობაა და ეს ჩვენ უკვე გამოვცადეთ.

— ...ეკა ყუშიტაშვილზე რას ფიქრობთ?

— ეკა ყუშიტაშვილი არის სახე, თუ როგორი არ უნდა იყოს მოქალაქე, მნიშვნელობა არ აქვს, ცინარიძესთან რეკავდა თუ არა, ის გოგონა, საპატრულო პოლიციის მიმართ ასეთი დამოკიდებულების გამო, დასასჯელია. ისიც დასასჯელია, ვინც ეს კადრები საპატრულო პოლიციიდან გარეთ გამოიტანა. ამ ფაქტის მერე დარწმუნებული არ ვარ, უწყების გარეთ ისეთი ინფორმაციებიც არ გამოდის, რაც ქვეყნის უსაფრთხოებას დააზიანებს! შეიძლება, პოლიტიკურ ოპონენტს ებრძოლო, მაგრამ ქვეყანას რას ერჩი?!

— ბიძინა ივანიშვილი ცალკეულ არასამთავრობოებს აკრიტიკებს...

— ბატონი ბიძინა ტელეწამყვანობისთვის ემზადება და, როგორც ჟურნალისტს, გადაცემის მომზადების პერიოდში, აბსოლუტური უფლება აქვს, მათი პიროვნებით დაინტერესდეს. მეორე ამბავია, „არასამთავრობოები“ რატომ აღელდნენ? ბიძინა ივანიშვილის გადაცემა ეთერში ერთ თვეში გავა, ცუდი არ იქნება, თუ მისი რესპონდენტები სწორედ ის პიროვნებები იქნებიან, ვისთანაც, ჟურნალისტის ამპლუაში მყოფ ყოფილ პრემიერს შეკითხვები ექნება.

— საქართველოს პრეზიდენტს პატივს სცემთ?

— როგორც მოქალაქეს, მიმაჩნია, რომ ქვეყნის პრეზიდენტს, როგორც უმაღლეს ხელისუფალს, პატივი უნდა სცე. სხვა საკითხია, მიყვარს თუ არა. პატივს ვცემ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს და რა დასანანია, რომ საქართველოს ჰყავდა პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც არ მომცა საშუალება, პატივი მეცა!

— ანი, საზოგადოება ხელისუფლების შეცვლაზე ფიქრს რა შემთხვევაში დაიწყებს?

— თუ ვაზაგაშვილის ტრაგიკული მკვლელობის საქმე არ გაიხსნა, ხალხი დაიწყებს ფიქრს, არჩევანში შეცდა თუ არა.

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

სტოპკადრი

„კორტების სპეცოპერაციით“ ირაკლი ფირცხალავამ მისი ძმის დაკავებაზე შური იძია

პროკურატურის ინფორმაციით, ე.წ. კორტების სპეცოპერაციით, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ, ირაკლი ფირცხალავამ მისი ძმის დაკავებაზე შური იძია.

როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დგინდება შემდეგი:

„2006 წლის მაისში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირების მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სპეცოპერაცია, რომელიც ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობით დასრულდა.

სპეცოპერაციის ჩატარებას წინ უსწრებდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის, ირაკლი ფირცხალავას პირადი დაინტერესება ალექსანდრე ხუბულოვის მიმართ, ასევე იმ პერიოდში სამართალდამცავ ორგანოებში დამკვიდრებული დანაშაულთან ბრძოლის ნულოვანი ტოლერანტობისა და კრიმინალთან ბრძოლისათვის სასტიკი მეთოდების პროპაგანდა, რაც გულისხმობდა წინასწარ „დამნაშავედ“ მონათლული პირების ლიკვიდაციას.

ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ 2006 წლის 7 აპრილს, სოდ-ის თანამშრომლების მიერ, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავებულ იქნა ირაკლი ფირცხალავას ძმა, ლევან ფირცხალავა.

აღსანიშნავია, რომ ლევან ფირცხალავას მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავებს, მის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე მიაწოდა მოგვიანებით სპეცოპერაციის დროს მოკლულმა ალექსანდრე ხუბულოვმა, რის შესახებაც ცნობილი გახდა ირაკლი ფირცხალავასთვის.

მისთვის, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნისთვის, მიუღებელი აღმოჩნდა მისი თანამდებობრივი ავტორიტეტისა და რეპუტაციის ამგვარი ფორმით საფრთხის ქვეშ დაყენება, რის გამოც გადაწყვიტა ლიკვიდაციის გზით, შური ეძია მისი ძმის დაკავების საქმეში მთავარ ფიგურანტ ალექსანდრე ხუბულოვზე.

ირაკლი ფირცხალავას დანაშაულებრივი გეგმით, იგი შსს სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, შეიმუშავებდა ალექსანდრე ხუბულოვის მიერ ყაჩაღობის მომზადების სცენარს და დანაშაულთან ბრძოლის საქვეყნოდ გაცხადებული ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ფარგლებში, „წარმატებული“ სპეცოპერაციის ფორმით მოახდენდა ალექსანდრე ხუბულოვის ლიკვიდაციას, რითიც იგი, ერთის მხრივ, შურს იძიებდა ალექსანდრე ხუბულოვზე, რომელმაც ამხილა მისი ძმა ნარკოტიკებთან კავშირში, ხოლო მეორეს მხრივ, ეს სპეცოპერაცია მას და მის თანამზრახველებს დანაშაულთან მებრძოლი სამართალდამცავების იმიჯს დაუმკვიდრებდა“, — აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

მათივე ინფორმაციით, 2006 წლის 1 მაისს, ირაკლი ფირცხალავასთვის ცნობილი გახდა, რომ მომდევნო დღეს, დილის საათებში, ალექსანდრე ხუბულოვი მეგობრებთან აპირებდა შეხვედრას, რის შემდგომაც მათთან ერთად გაემართებოდა ისანი-სამგორის რაიონის მიმართულებით.

„ირაკლი ფირცხალავა საკუთარი დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებას შეუდგა, მის მიერ მობილიზებულ იქნა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები და დაიწყო სპეცოპერაციის დაგეგმვა, რომელიც შეინიღბა ყაჩაღური თავდასხმის მომზადებაში ეჭვმიტანილი პირების მიმართ ჩასატარებელ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად“, — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ: პროკურატურამ 2 თებერვალს განაცხადა, რომ ე.წ. კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის და ალექსანდრე ხუბულოვის საქმე მთავარი პროკურატურის მიერ გახსნილია.

ხსენებულ საქმეზე, პროკურატურის მიერ სასამართლოს განჩინების საფუძველზე, განზრახ მკვლელობის, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის და განზრახ უკანონო დაკავების ბრალდებებით დაკავებულ იქნა 11 პირი:

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ირაკლი ფირცხალავა; შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე გიორგი ცაავძე; შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი გამომძიებელი ლევან ბერიძე; შსს ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების ჯგუფის ყოფილი უფროსი კახაბერ ნაკანი და მისი ყოფილი მოადგილე გიორგი გულბიანი; სპეცდანიშნულების ჯგუფის წევრები: იასონ მილაძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, ზურაბ ჯოხაძე, დავით ალელიშვილი, სოსო ჩაკვეტაია და ალექსანდრე სანიკიძე. ხოლო ერთი პირის - შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ გამომძიებელ გრიგოლ კვინიკაძის მიმართ, რომელსაც დატოვებული აქვს საქართველოს საზღვარი, გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდების შესახებ.

საქმეზე გრძელდება გამოძიება, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 369-ე მუხლის მესამე ნაწილითა და 147-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10 დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას.

„ინტერპრესნიუსი“

14 № 5 (269) 4-10 თებერვალი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲗᲔᲐᲢᲠᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გურამ რჩეულიშვილი

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღს“ დიდი სცენური ისტორია აქვს. ასევე, გრძელია რანევსკაიას შემსრულებელთა სიაც: ო. კნიპერ-ჩეხოვა, ა. ტარასოვა, მ. ბაბანოვა, ა. დემიდოვა, ა. ფრეინდლიხი, მ. ნეეოლოვა, ტ. ლავროვა, ლ. მაკსაკოვა, ვ. ვასილიევა, რ. ლიტვინოვა, ა. ზახაროვა, ნ. ჭანკვეტაძე. ამ სიას სულ ახლახან კიდევ ერთი გვარი შეემატა – გურანდა გაბუნია.

რანევსკაია „ათი წლის შემდეგ“

ა. გრიბოედოვის თეატრის მცირე სცენაზე რეჟისორმა ანდრო ენუქიძემ ა. ჩეხოვის საიუბილეოდ მისი „ალუბლის ბაღი“ განახორციელა და რანევსკაიას როლში მსახიობი გურანდა გაბუნია მიიწვია. ამის საბაბი, ალბათ, ის გახლდათ, რომ რეჟისორმა მსახიობის ბოლო ნამუშევრები – „ახლად გამოკვეთილი ამპლუა“ „აღმოაჩინა“, რაც მონოსპექტაკლებსა და მის ე.წ. ბენეფისურ შედევრებში: ი.გარუჩავისა და პ. ხატიანოვსკის „მიტევების დღე“ (რეჟისორი ქ. დოლიძე), ჯონ მარლის „მემუარები“ (რეჟისორი ი. გოგია) გამოვლინდა, როცა მსახიობი სრულიად იხსნება, ხდება სცენის ნამდვილი ბატონ-პატრონი და მბრძანებელი (სხვა რეჟისორებს, მინდა, საყვედურით შევახსენო, რომ მხოლოდ ეს არაა ამ უნიჭიერესი მსახიობის სცენური ღირსებები).

ანდრო ენუქიძის რეჟისურა ყოველთვის ნოვატორულ ელემენტებს შეიცავს. ჯერ კიდევ თავისი შემოქმედების დასაწყისში, რუსთაველის თეატრში, რ. სტურუასთან ერთად დადგმული დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებამ“, ფორმითაც და შინაარსითაც, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში. რეჟისორი კვლავ აგრძელებდა ასეთ ძიებებს, ასევე, რუსთაველის თეატრში დადგმულ ფ. დიურენტმატის „ვთამაშობთ სტრინბერგსა“ და უ. შექსპირის „მაკბეტში“ ბათუმის სახ. თეატრში. იგი ამ ნამუშევრებში უარს ამბობს პარტერში მაყურებელთა ტრადიციულ განლაგებაზე და სცენაზე აჰყავს. საქმე მხოლოდ მაყურებელთა და მსახიობთა ახლებურ განთავსებაში არაა. რეჟისორი მიმართავს ხერხს, როცა მაყურებელი აქტიურადაა ჩართული სცენურ ქმედებაში – მხოლოდ მაყურებელი აღარაა და თანამონაწილე ხდება იმ მოქმედების, რაც სათამაშო მოედანზე ხდება. ამდენად, მაყურებელი სრულადაა ჩართული მოქმედ პირთა სცენურ ცხოვრებაში. ეს ნოვატორული ნიჭი დღევანდელ წარმოდგენაშიც გამოვლინდა – ვუყურებთ ა. ჩეხოვის არა ჩვეულებრივ „ალუბლის ბაღს“, არამედ, მის ახლებულ სცენურ ვერსიას, რეჟისორის ხედვას და მის დამოკიდებულებას ა. ჩეხოვის ამ უკანასკნელი პიესის მიმართ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელი მომენტია ყოველი რეჟისორის შემოქმედებაში. გამუდმებით ერთი და იმავე პიესების ტირაჟირებისას არსებითია, თუ როგორ ხედავს დამდგმელი რეჟისორი იმ ქვეტექსტებს, ფურცელზე აღწერილ გრძნობებსა და შეგრძნებებს, რომელიც ამა თუ იმ დრამატურგიულ ტექსტებში ავტორის მიერაა ჩადებული. სწორედ ეს უნდა გახდეს რეჟისორის ამოცანაც და მიზანიც ამა თუ იმ პიესის წარმოსადგენად. სცენაზე უნდა ვიხილოთ არა „შეთხზული“ (რომელიც დრამატურგმა ერთხელ უკვე შეთხზა) წარმოდგენა, არამედ, ის ახალი, რაც რეჟისორს იტაცებს (ალბათ, სათქმელი) და აწუხებს ამ პიესაში და ისე მიიტანოს მაყურებლამდე, რომ მანაც დაინახოს მოცემული დრამატურგიული ტექსტის რეჟისორული წაკითხვა. ამ მხრივაც ანდრო ენუქიძის მიერ ა. გრიბოედოვის თეატრის მცირე სცენაზე დადგმულ „ალუბლის ბაღში“ ყველაფერი სახეზეა.

ანდრო ენუქიძემ ლუბოვ ანდრეევნას და ვარიას პარიზში „მიაგნო“, სადაც მოქმედება ალუბლის ბაღის გაყიდვიდან ათიოდე წლის შემდეგ მიმდინარეობს და მოქმედება დროის სამ განზომილებაში – აწმყო (პარიზი), წარსული (რანევსკაიას მამული) და მომავალში (ისევ პარიზი) – გაშალა. ისინი ერთ მყუდრო ბინაში ცხოვრობენ, რომლის ფანჯრიდან ეიფელის კოშკი ჩანს.

რანევსკაიას – გურანდა გაბუნია, მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, სილამაზე და მომხიბვლელობა შერჩენია, თუმცა ასაკმა თავი მაინც იჩინა და პარკინსონის დაავადება შეჰპარვია... სპექტაკლის დასაწყისში გურანდა გაბუნია თამაშობს მოხუც ქალს, რომელიც მწარედ განიცდის ფირსის უყურადღებოდ მიტოვებასა და ალუბლის ბაღის დაკარგვას. მაინც და მაინც, არც იმაშია დარწმუნებული, რომ მის წინაშე ვარიაა თუ ანია. სამაგიეროდ, კარგად ახსოვს დროულად ყავის დალევა და ის, რაც იმ საბედისწერო დღეებში მოხდა, როცა უკანასკნელად ეწვია საკუთარ სახლს. მისი გამუდმებული პაექრობა ვარიასთან (ირინა მელვინეთუხუცესი) თითქმის მთელი სპექტაკლის განმავლობაში გრძელდება. საყვედურები ვარიას მიმართ რანევსკაიას ერთგვარ თამაშად უქცევია, რომელიც პარიზშიც გრძელდება. გარდასული დროის მოგონებები აწუხებს ორივეს – ვარიას პირველი პარიზული შთაბეჭდილებები, ლუბოვ ანდრეევნას წინაშე კი, ხელახლა გადაიშლება ალუბლის ბაღის გაყიდვის ისტორია.

გაევი (ო. მჭედლიშვილი) ისევ წარმოსთქვამს თავის ცნობილ მონოლოგს კარადის შესახებ. დამხვდურებიც იგივენი არიან: ვარია, ეპიხანოვი.

სპექტაკლის გაფორმება (მხატვარი მ. შველიძე) ძალიან მოკრძალებულია, თუმცა „მეშჩანური“ გარემოს იერი მაინც ახლავს: მაქმანებიანი შპალერი და უზომოდ დიდი აბაჟური, ასევე, მაქმანები, რომელზეც ლიუბოვ ანდრეევნას სამეჯლისო კაბებია ჩამოკიდებული და რომლებიც დროდადრო, მუსიკის ჰანგებთან ერთად, აცეკვდებიან.

აქვე, აუცილებლად უნდა ითქვას კარადის ახალ ფუნქციაზე, რომელიც რეჟისორმა მიანიჭა: ძველი კარადა ამ სპექტაკლში კარიცაა, სამალავიც და, თუ გნებავთ, „ეშაფოტიც“, რომელზეც რუსეთის რევოლუციის დროს პიესის დანარჩენი მოქმედი პირები იღუპებიან.

ლაპახინი (ა. ბარათაშვილი) ისეთივე აქტიური და ენერგიულია, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ალუბლის ბაღის გაყიდვას ეხება. მას ვერაფრით გაუგია, რანევსკაია დროდადრო რატომაა ასე გულგრილი ამ ფაქტის მიმართ. მას, ლაპახინს ვერც კი წარმოუდგენია, რომ რანევსკაიას ფიქრები სულ სხვა მხარესაა მიმართული. ლუბოვ ანდრეევნას – გურანდა გაბუნიას ყველაზე დიდი საზრუნავი ვარიაა, რომელიც ლაპახინს ვერ მიათხოვა და უფუნქციოდ და სახლ-კარის გარეშე დარჩა.

გურანდა გაბუნია თამაშობს სამშობლოზე შეყვარებულ ადამიანს, რომელსაც

ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4-10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015

№ 5 (269)

15

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

ვერ წარმოუდგენია საკუთარი თავი ალუბლის ბაღისა და იმ სახლის გარეშე, სადაც გაიზარდა და ვაჟიშვილი დაკარგა. ალუბლის ბაღის გაყიდვა მისთვის სამშობლოს დაკარგვის ტოლფასია.

ორჯერ ვხდებით იმ ტრაგიკული განცდების მოწმე, რომელიც რანევსკაიას გულში ტრიალებს: პირველად, როცა ალუბლის ბაღის გაყიდვას შეიტყობს, სავარძელში ჩაესვენება, გონს დაკარგავს და როცა აზრზე მოვა, სახეზე ხელს აიფარებს და მწარედ ტირის. მეორედ, – გამგზავრების წინ. დანარჩენ დროს კი ისევ ვარიაზე წუხს, მოხუც ფირსზე ზრუნავს, პეტია ტრაფიმოვს ჭკუას არიგებს, ეპიხოდოვს ძველებურად ფულს ჩუქნის თუ ასესხებს, მხიარულობს და უარს არც მეჯლისზე ამბობს, მღერის ძველ რუსულ რომანსებს, ჯიუტად არ პასუხობს პარიზიდან გაუთავებლად მოსულ დეპეშებს, თუმცა მშვენივრად ესმის, რომ მისი ადგილი მეუღლის გვერდითაა, რომელსაც ძალიან სჭირდება.

ა. ჩეხოვის ამ სცენურ ვერსიაში სადღაც გაქრნენ ანია და ფირსი, სხვა მოქმედი პირნი, თუმცა ვარია-ანია და შემდგომ, შარლოტა, შესანიშნავად შესრულებული ირინა მეღვინეთუხუცესის მიერ, კიდევ ერთი საინტერესო მიგნებაა. ვარია და ანია თუ ძალიან გვანან ერთმანეთს, შარლოტა ივანოვნა – ი. მეღვინეთუხუცესი სრულიად განსხვავებული სახეა – მაცდუნებელი, მომხიბლავი, ცოტა ვულგარული და მადისმომგვრელი.

რაც შეეხება ფირს, მასზე მხოლოდ მოგონებანი და განცდები დარჩნენ. ამ ერთგული მსახურის მიმართ ჩადენილი დანაშაული სინდისის ქენჯნას იწვევს ყველაში. ფირსი ისევე გაქრა, როგორც – ალუბლის ბაღი. რაც შეეხება თვით ალუბლის ბაღს, სრულიად სამართლიანად ამბობს ლაპახინი, მისი ღირსება იმაშია, რომ დიდია და, მართლაც: რომ დავარღვიოთ ბაღის აღქმის სტერეოტიპი, უნდა ვთქვათ – ეს უზარმაზარი ტერიტორიაა, სრული 1000 ჰექტარი, ამიტომ სავსებით გასაგები ხდება ლაპახინის ინტერესიც და ბაღის მფლობელთა ტრაგედიაც.

პეტია ტრაფიმოვი (მ. ამბროსოვი) პირველი სცენიდან სრულიად კომიკური ფიგურაა, საგიჟეთიდან გამოქცეულს ჰგავს თეთრებში მოსილი, რანევსკაიას საკუთარ დედად რომ მოეჩვენება ბაღში მოსიარულე. „როგორ დაბერებულხარ“ – აღნიშნავს ყველა და, მართლაც, ამ მუდმივ სტუდენტს თმა გაჭაღარავებია, სახე დანაოჭებია, თუმცა ისევ ენერგიულია. შესანიშნავად გათამაშებული თევზაობისა და „კალოშების“ ძებნის სცენები ახალისებს წარმოდგენას და მაყურებელში სიცილს იწვევს.

ეპიხანოვი (მ. არჯევანიძე) თავის ამპლუაშია – გაუთავებელ ბანკის ვალებში ჩაფლული. ამ ოჯახს შემოსჩვევია, რომ რამენაირად ფული დასტყუოს და ამას აღწევს კიდეც: რაღაცას ხან გაევი, ხან თვითონ რანევსკაია უწილადებს, თუმცა პატიოსანია და ვალს დროულად აბრუნებს.

რაც შეეხება პიესის ჟანრს. როგორც ა. ჩეხოვი წერდა, ეს იყო მისი უკანასკნელი კომედია, სადაც სწორედ ამ ჟანრის თამაშს მოითხოვდა ავტორი. „თოლიის“ ჩავარდნის მაგალითი (როცა ვ. კომისარჟევსკაია ტრაგედიას თამაშობდა) საკმარისი აღმოჩნდა დრამატურგისთვის, რომ თვალი ედევნებინა მისი ჩანაფიქრის სცენაზე ზუსტად გადატანისთვის. და მართლაც, იმ დროისთვის ანტონ პავლოვიც ჩეხოვისთვის კომიკურად ჟღერდა: „შეხედეთ თქვენ თავს, რა საცოდავები ხართ, როგორ მოსაწყენები“, – წერდა თავის პერსონაჟებზე დრამატურგი.

ა. გრიბოედოვის თეატრის მცირე სცენაზე დადგმული წარმოდგენა უფრო ტრაგედიაა, სადაც თავისთავად მოხდა ჟანრობრივი სტრუქტურის ცვლილება. წინა პლანზე გადმოინაცვლა სამშობლოს სიყვარულმა, საკუთარი სახლის მონატრებამ, შავ-ბნელმა მოგონებებმა, რაც მოხუცებულობაში უფრო და უფრო იჩენს თავს, ფირსის დაღუპვამ, რანევსკაიას მარტო დარჩენამ და უღიმღამო პარიზულმა ცხოვრებამ ყველაფერი ტრაგედიად აქცია, რასაც ჩვენს წინაშე გურანდა გაბუნია თამაშობს.

სპექტაკლის ბოლო სცენა:

Посидим на дорожку – რანევსკაია ჩემოდანზე ჩამომჯდარი, გამგზავრების წინ, ჩაფიქრებული და თვალცრემლიანია, ავეჯი შეფუთულია, ჩემოდნები ჩალაგებული, სადაცაა, ეტლიც მოვა. ეპიხანოვმა ახლახან ნასესხები ფული დაუბრუნა ლუბოვ ანდრეევნას – მოკრძალებით კალთაზე დაუდო. რანევსკაია ჯერ ვერც შეამჩნია, შემდეგ, ისე აიღო, არც დაუხედავს. ერთი ასთუმნიანი ხელში მოიგდო, დანარჩენი კი, იატაკზე მოისროლა. ფიქრებით ისევ სადღაც, შორსაა და იწყებს ამ ასთუმნიანის ხელში გრეხვას, ცდილობს, გააქროს, მთელი ძალით და მთელი გულით სურს გაანადგუროს, ბაღის საფასური აღარაფერია. „ო, ჩემო საყვარელო, ჩემო ულამაზესო ბაღო... ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ახალგაზრდობავ, ჩემო ბედნიერებავ... მშვიდობით, მშვიდობით!“

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲐᲯᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

16 № 5 (269) 4-10 თებერვალი 2015

ეროვნული ინტერესი

ეროვნული. ეკონომიკური. ეკლესიური. პოლიტიკური.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

კულუარული პოლიტიკა

„ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“ ფარული მიზნები

ქართულ პოლიტიკაში ე.წ. უკრაინული თემა ისევ აქტუალურია. ყოველ შემთხვევაში, ორიოდ დღის წინ, უკრაინულმა გამოცემა „ცენზორ.ნეტ“-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის პოსტისთვის გამოცხადებულ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას. გამოცემას ამის შესახებ, თურმე, თავად მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა. საქართველოს პარლამენტის წევრის, „ნაციონალი“ გიორგი ვაშაძის ინფორმაციით კი, კიევში იუსტიციის ყოფილი მინისტრიც იმყოფება, თუმცა ზურაბ ადეიშვილის თანამდებობაზე დანიშვნა არ იგეგმება. არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის“ მონაცემებით, საქართველოდან უკრაინაში ახალგაზრდების „ექსპორტს“ სწორედ ის ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რომელიც გიორგი ვაშაძესა და მის მეუღლესთანაა დაკავშირებული. „არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და განვითარების ფონდი“, რომელიც პროექტს – „სახელმწიფო 3.0 – რეფორმების ახალი ტალღა“ ახორციელებს, რეალურად „ნაცმოძრაობის“ მიერაა დაარსებული და ამას ისიც მოწმობს, რომ მისი დამფუძნებელი გიორგი ვაშაძეა, ხელმძღვანელი კი, – მისი მეუღლე ქეთევან სიჭინავა“, – აცხადებს „პოზიციის“ ლიდერი გურამ ადამაშვილი, რომელსაც საზოგადოების სამსჯავროზე საჯარო რეესტრის დოკუმენტაციაც გამოაქვს.

რატომაა საშიში „რეფორმების ახალი ტალღა“ და რა კავშირი აქვთ არასამთავრობოსთან გიორგი ვაშაძესა და მის მეუღლეს

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „არასამთავრობოს“ შექმნა ნებისმიერს შეუძლია. აქედან გამომდინარე, ჩნდება ლოგიკური შეკითხვა: რატომ აღმოჩნდა ვაშაძისა და მისი მეუღლის „ენჯეო“ ყურადღების ცენტრში? როგორც გურამ ადამაშვილი ამბობს, არასამთავრობო ორგანიზაციის სახელი ჩვეულებრივი შირმაა, სინამდვილეში კი, „ინოვაციებისა და განვითარების ფონდს“ შორს მიმავალი მიზნები აქვს.

„ეს ორგანიზაცია საქართველოს 12 თვითმმართველ ქალაქში ინტენსიურ შეხვედრებს თითქოს იმ მიზნით მართავს, რომ ახალგაზრდები თვითმმართველობის პროცესში ჩართოს, თუმცა ყველაფერი ეს ბლეფია. სინამდვილეში, ვაშაძე და მისი ამფსონები ახალგაზრდებს ლექციებს უკითხავენ და არწმუნებენ, მთავრობა ცუდია და საქართველო ინგრევაო, ანუ ფონდის მესვეურები ყველაფერს აკეთებენ, რომ ახალგაზრდებში ნიჰილიზმი გაჩნდეს და ისინი სახელმწიფოს აუმხედრდნენ“, – აცხადებენ „პოზიციაში“.

გიორგი ვაშაძისა და მისი მეუღლის გარდა, გავრცელებული ინფორმაციით, „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“ წევრები არიან: დათა კიზირია, გივი ჩიქოვანი, პაატა მანჯგალაძე, ლანა ღვინჯილია, გიგა გრუნჩაძე, ლევან ხაბეიშვილი, თორნიკე ბიკაშვილი, თეონა ჭალიძე, ანა კობახიძე, ნათია ქოქოსაძე, ლევან ახობაძე, სალომე ჩაგელიშვილი, გიორგი ბიჩინაშვილი, გიორგი ხაჟალია, ნიკა ჩარკვიანი, ლევან მჭედლიძე, თამთა შამათავა, ანდრო კიკნაძე, გიორგი შერვაშიძე, ოთო ბიტაშვილი, გივი კუბლაშვილი, ლალი კალანდაძე, გიორგი კოპალეიშვილი და თიკო ხუციაშვილი.

ასევე, ცნობილია, რომ ზემოხსენებულ ტრენინგებში აქტიურად მონაწილეობენ „ნაცმოძრაობის“ ისეთი „უკვდავი“ სახეები, როგორებიც არიან: სერგო რატიანი, ანდრო ბარნოვი და თბილისის ყოფილი მერი, ასევე, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც როგორც თვითმხილველები ამბობენ, ახალგაზრდებს, თურმე, ჯანდაცვის მიმართულებით „ანათლებს“.

„პოზიციის“ მონაცემებით, „ლექტორთა“ უმეტესობა თავის დროზე, ანუ „ნაცმოძრაობის“ ზეობის ხანაში „მართლმორწმუნე“ „ნაციონალი“ იყო. აი, მაგალითად, ლევან ხაბეიშვილი, რომელიც წარსულში თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე იყო, 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში, თბილისში, კენჭს „ნაცმოძრაობის“ სიით იყრიდა, რასაც ქალაქში იმხანად გამოფენილი ბილბორდებიც მოწმობს. გარდა ამისა, ხაბეიშვილი რამდენიმე თვის წინ, სარფში სააკაშვილთან გამართულ შეხვედრასაც დასწრებია. მაშინ სააკაშვილმა განაცხადა, ენერგიულ ახალგაზრდებს შევხვდიო.

„ლევან ხაბეიშვილი, სხვა „ნაციონალებთან“ ერთად, არასამთავრობო ორგანიზაცია მონიტორინგის ცენტრ „მონიტორს“ ხელმძღვანელობს. მონიტორინგის ცენტრ „მონიტორი“-ს დამფუძნებლები „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“აქტიური წევრები არიან“, – აცხადებენ „პოზიციაში“ და მაგალითისთვის ხარაგაულის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარე

გიორგი გლუნჩაძეს ასახელებენ. სხვათა შორის, გუნდის ყველაზე აქტიურ წევრად, თურმე, სწორედ გლუნჩაძეა: მაშინ, როცა საკრებულოს თავმჯდომარე ყოფილა, მამა, მერაბ გლუნჩაძე შპს „ხარაგაულკეთილმოწყობის“ დირექტორის მოდგილედ დაუნიშნავს, დედა, მარინა ალავიძე კი, დღემდე ხარაგაულის მეორე საჯარო სკოლის მასწავლებელია.

ზემოხსენებული გუნდიდან, ასევე, საინტერესო ფიგურაა გურიის გუბერნატორის ყოფილი მოადგილე პაატა მანჯგალაძე, რომელსაც, დეკლარაციის თანახმად, მოადგილედ მუშაობისას 26 785 ლარის შემოსავალი მიუღია, საიდანაც 20 ათასი დაუზოგავს, ანუ გამოდის, რომ „მეფისტოლა კაცი“, პრაქტიკულად, პურსა და წყალზე ცხოვრობდა...

„უდავოა, დეკლარაციაში სრული ინფორმაცია არაა მოცემული და მანჯგალაძეს სხვა „შავი შემოსავალი“ ჰქონდა, რაც იმითაც დასტურდება, რომ გუბერნატორის მოადგილეობისას, თვეში 500 ლარზე მეტი არ დაუხარჯავს.

ასეთი ფაქტების დასახელება ყველაზე შეიძლება“, – აცხადებენ „პოზიციაში“ და განმარტავენ, რომ ზემოხსენებული ადამიანები „ნაცმოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის წევრები არიან, რომელთა გვარებიც მონიტორინგის ცენტრ „მონიტორი“-ს საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება, ანუ ისინი პროექტ „სახელმწიფო 3.0“-ს ახორციელებენ.

სხვათა შორის, მონიტორინგის ცენტი „მონიტორი“ და „ინოვაციებისა და განვითარების ფონდი“ 2014 წელს დაფუძნდა და ორივე ორგანიზაციას, როგორც ირკვევა, უკრაინაში „მოღვაწე“ „ნაციონალებთან“ აქტიური კავშირი აქვს. ანალიტიკოსთა ნაწილი ამბობს, რომ სახიფათო და საგანგაშოც სწორედ ესაა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ყოფილი მმართველი გუნდი უკრაინაში, ქართველი ახალგაზრდებისგან, პლაცდარმის შექმნას ცდილობს – იმ ტრენინგების მიზანიც, რომელსაც საქართველოს 12 თვითმმართველ ქალაქში აწყობენ, ალბათ, სწორედ ისაა, რომ მოზარდებს, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებს თავბრუ დაახვიონ, უკრაინაში წაიყვანონ, სადაც მათ სწავლას დააფინანსებენ და 2016 წელს სამშობლოში დააბრუნებენ. მოგეხსენებათ, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. ჰოდა, სავსებით დასაშვებია, რომ ორი წლის შემდეგ, უკრაინიდან დაბრუნებულმა გოგობიჭებმა „ნაცმოძრაობის“ დავალებები შეასრულონ. სახელდობრ, საპარლამენტო არჩევნების დროს და საარჩევნო კამპანიის პერიოდში შეეცადონ დებოშის მოწყობას და ვითარების დაძაბვას, რომელთა უკან „ნაციონალები“ იდგებიან. სხვათა შორის, ეს ვერსია რაღაცით ე.წ. რეზერვისტთა პროგრამას ჰგავს...

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ზემოხსენებულ ვერსიებს, პირდაპირ თუ ირიბად, ადასტურებს: „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“ საერთაშორისო პარტნიორები არიან: უკრაინის იუსტიციის სამინისტრო; უკრაინის სახელმწიფო სარეგისტრაციო სამსახური; უკრაინის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო; უკრაინის ვიცე-პრემიერი რეგიონული განვითარების მიმართულებით და მისი აპარატი; ლვოვის მერია; ლვოვის გუბერნიის ადმინისტრაცია; უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატა; კიევის მერია; კიევის ოლქის ხელმძღვანელობა; საერთაშორისო ფონდების უკრაინული წარმომადგენლობები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და ბიზნესსექტორის მოტივირებული წარმომადგენლები.

რაც შეეხება ქართველ პარტნიორებს, „ინოვაციებისა და განვითარების ფონდთან“ თანამშრომლობენ: მონიტორინგის ცენტრი „მედიატორი“; „ქალები საქართველოსთვის“ და „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“. ეს უკანასკნელი, როგორც გახსოვთ, „ნაციონალების“ მმართველობის ბოლო წლებში იმ მოტივით შეიქმნა, სრულიად საქართველოს კომპიუტერიზაცია მომხდარიყო, თუმცა ამ პროგრამამ, ისევე როგორც, უკბილოთათვის კბილების უფასო ჩასმამ, ჩაილურის წყალი დალია.

ერთი სიტყვით, „განვითარებისა და ინოვაციების ფონდის“ ზრახვები გაშიფრულია. ასე რომ, თუკი რომელიმე „ნაციონალი“ ტრენინგს შემოგთავაზებთ, კარგად აწონდაწონეთ, რამეთუ სავსებით შესაძლებელია, რომ ყოფილთა ფარული გეგმის ხაფანგში გაებათ!

ნიკა გუჯაბიძე

ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2
საზოგადოების დამფუძნებლები

2.1. **საზოგადოების დამფუძნებელია:**

გიორგი ვაშაძე (პ/ნ 01006008204) მის:. ქ.თბილისი, მცხეთის ქ.#6, ბ.7

მუხლი 3
საზოგადოების მართვა

- საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელი. გადაწყვეტილება მიიღება ერთპიროვნულად დამფუძნებლის მიერ.

მუხლი 4
საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი:

ქეთევან სიჭინავა (პ/ნ 01031005272) მის:. ქ.თბილისი, მცხეთის ქ.#6, ბ.7

რომელიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ორგანიზაციას.

მუხლი 5
დამფუძნებელთა უფლებები და მოვალეობები

ფონდის დირექტორი არის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირის სრულფასოვანი (ერთპიროვნულად) წარმომადგენელი:

- წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობებში;
- დებს გარიგებებს ორგანიზაციის სახელით;
- უზრუნველყოფს ფინანსებისა და ქონების განკარგვას;
- ასრულებს ამ წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6
საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

ᲩᲘᲠᲗᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4-10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015 | № 5 (269) | 17

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲣᲨᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲘᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

1 3 5

ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ

- ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ
- ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ
- ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲐ
- ᲐᲒᲠᲝᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘᲐ
- ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ
- ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ
- ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲛᲝᲓᲣᲚᲔᲑᲘ

- ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ
- ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ
- ᲡᲐᲑᲣᲦᲐᲚᲢᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲐ
- ᲡᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ
- ᲡᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ *ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ ᲠᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ (minor ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲜ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲨᲘ)*

ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ

- ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ
- ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ
- ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲣᲕᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ
- ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ

მოდულის არჩევითი კურსები – 60 ECTS კრედიტი, ან დამატებითი სპეციალობები (*minor*) – 60 ECTS კრედიტი.

შეთავაზებული დამატებითი პროგრამებიდან სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს აგრარული მიმართულები:

- **ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲐ** – Food Technology - **0104**
- **ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ** – Production and primary processing of raw animal products – **0103)**
- **ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲡ** *minor*

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ 2250 ᲚᲐᲠᲘ

18 № 5 (269) 4-10 თებერვალი 2015

ეროვნული ოქმი

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

არა-ჩვეულებრივი გვერდი



ცნობილი ბერძენი მომღერალი დემის რუსო გარდაიცვალა

რამდენიმე დღის წინ, ათენში, 68 წლის ცნობილი ბერძენი მომღერალი დემის რუსო გარდაიცვალა.

მომღერალი ალექსანდრიაში 1946 წლის 15 ივნისს დაიბადა. დედამისი მომღერალი იყო, მამა კლასიკურ გიტარაზე უკრავდა. სწორედ მშობლების გავლენით, ბიჭმა გიტარაზე, საყვირზე, კონტრაბასსა და ორღანზე დაკვრა ისწავლა.

ჯერ კიდევ ბავშვობაში რუსო პოპულარული დასავლური ჰიტების ჯაზვერსიებს ასრულებდა. 1968 წელს, ბენდ „აფროდიტეს შვილებთან“ ერთად, რუსო საცხოვრებლად პარიზში გადავიდა, 1971 წელს კი, სოლო კარიერა დაიწყო. დემის რუსოს სიმღერები დღესაც პოპულარულია.

სტივ ჯობსის ქვრივი ვაშინგტონის მერყოფილს ჰყვარობს

კომპანია Apple-ის დამფუძნებლის სტივ ჯობსის ქვრივმა, ლორინ პაუელმა, როგორც „მთავარი. ინფო“ წერს, რომანი ვაშინგტონის მერყოფილ ედრიან ფენტისთან გააბა. აღსანიშნავია, რომ 51 წლის ლორინი და 44 წლის ედრიანი თავიანთ ურთიერთობას არ მალავენ.

ამას წინათ, პაპარაცებმა კაიმანის კუნძულებთან, იახტით სეირნობისას გამოიჭირეს.

შეგახსენებთ: სტივ ჯობსი 2011 წელს სიმსივნით გარდაიცვალა. მისი სიკვდილს შემდეგ, პაუელს 10 მლრდ დოლარის მემკვიდრეობა დარჩა. ლორინს სტივ ჯობსისგან სამი შვილი ჰყავს. ასევე ზრდის გერ ქალიშვილს, რომელიც სტივს კრის ენ ბრენანისგან შეეძინა.

რაც შეეხება ფენტის, ის მეუღლეს, მიშელ კროსს 2013 წელს დაშორდა.



დედამიწაზე ქალებს მამაკაცები სჭარბობენ

ერთ-ერთი ცნობილი დასავლური გამოცემის მიხედვით, მსოფლიოში ქალებს მამაკაცები 60 მილიონით აღემატებიან. ამავე მონაცემებს გამოცემა მსოფლიო ბანკსა და გაერო-ზე დაყრდნობით ავრცელებს და იქვე განმარტავს, რომ მამაკაცების რაოდენობა პიკს კატარში აღწევს.

„განვითარებული ქვეყნების მოსახლეობაში მეტი ქალია. გენდერული თვალსაზრისით კი, ყველაზე დაბალანსებული სიტუაცია აფრიკაშია“, — იუწყება გამოცემა.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

4-10 თებერვალი 2015 | № 5 (269) | 19

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲣᲗᲝᲡ ᲐᲜᲐᲢᲝᲛᲘᲐ

უთო წმინდა გერმანული „ბრენდია“. ყოველ შემთხვევაში, საარქივო მასალებით, 1647 წელს გერმანელები უკვე იყენებდნენ ლითონისგან ჩამოსხმულ ნივთს, რომელსაც ცეცხლზე აცხელებდნენ და თეთრეულს აუთოვებდნენ.

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, ანუ 1752 წელს, თანამედროვე უთოს წინამორბედი რუსეთშიც გამოჩნდა — ე.წ. ნახშირის უთო თუჯისგან სწორედ ოკუპანტთა წინაპრებმა დაამზადეს.

პირველი ელექტრონული უთო კი, რომელიც ლითონისა და პლასტმასისგან იყო დამზადებული, ბაზარზე 1933 წელს, საფრანგეთში გამოჩნდა. აღსანიშნავია, რომ პირველ ელექტრონულ უთოს პატარა აკუმულატორი ჰქონდა.

რაც შეეხება თანამედროვე უთოს, ყველაზე კომფორტულად უჟანგავი ფოლადისა და ფაიფურისგან დამზადებული მრავალფუნქციური უთო ითვლება, რომელიც 2012 წელს ჰოლანდიაში შეიქმნა. ეს უთო მხოლოდ კი არ აუთოვებს, არამედ, ქსოვილს ორთქლით ასწორებს და წმენდს კიდეც.

ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲔᲚ ᲚᲐᲛᲐᲖᲛᲐᲜᲗᲐ ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲘ

ჰოლივუდშიც კარგად იციან, რომ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს. ამიტომაც, მსოფლიო კინომექის ლამაზმანები „მსხვერპლის გაღებაზე“ ნებაყოფლობით თანხმდებიან. ასე, მაგალითად, ქვეყანა რომც დაიქცეს, ბრუკ შილდსი დიეტას არ დაარღვევს: „ჩემი სხეული ჩემი სავიზიტო ბარათია და უფლება არ მაქვს, მოვდუნდე. გადაღებების დროს სპორტდარბაზში სიარულს ვერ ვახერხებ, ამიტომ, აღნაგობის შენარჩუნების ერთადერთი მეთოდი სწორი კვებაა. მხოლოდ არაკალორიურ პროდუქტს, წყალს, ცოცხალ ხილსა და ბოსტნეულს მივირთმევ“, — ამბობს ბრუკი.

თანამედროვე მსოფლიოს სექსსიმბოლოდ მიჩნეული ანჯელინა ჯოლის სილამაზის საიდუმლოც კვებაშია, ანუ წლებია, ანჯელინა ხშირად და ცოტ-ცოტას მიირთმევს. „ამ წესის შეცვლას მხოლოდ მიწისძვრა ან სხვა მსგავსი ექსტრაორდინალური მოვლენა მაიძულებს“, — ხუმრობს ვარსკვლავი.

მსოფლიო პოპ-მუსიკის დედის, მადონას ყველაზე საყვარელი საჭმელი კი, კომბოსტოა.

„დაძაბული გრაფიკისას მთავარი პრობლემა სრულყოფილი კვებისთვის არასაკმარისი დროა. ამიტომაც ჩემი ბევრი ნაცნობი მუცელში ყველაფერს — შოკოლადით დაწყებული, ჩიპსებით დამთავრებული — იყრის, რაც სხეულში ცხიმებად გროვდება. ჩიპსების მაგივრობას ცოცხალი კომბოსტოს ფოთლები მიწევენ“, — განმარტავს მადონა.

ვერ ვიტყვით, რომ პენელოპა კრუსი შეუხედავია, თუმცა იმისთვის, რომ ფორმა შეინარჩუნოს, პენელოპა მკაცრ დიეტაზე სულაც არ „ზის“.

„გადაღებებზე ბოლომდე ვიხარჯები და ამიტომ მჭირდება ენერგიის აღდგენა. შემიძლია, სადილად პიცა მივირთვა, ვახშმად კი, — ნოყიერი იტალიური „პასტა“, მაგრამ ძალიან ბევრს ვმოძრაობ, ყველა კალორიას „ვწვავ“და ამიტომაც არ ვსუქდები“, — ამხელს თავის სილამაზის საიდუმლოს ვარსკვლავი.

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲣᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲮᲣᲗᲔᲣᲚᲘ

აშშ-ის ღარიბი პრეზიდენტი თითქმის არასოდეს ჰყოლია, თუმცა რჩეულები მდიდრებშიც არიან. სწორედ ამ რჩეული მდიდრების ხუთეულს წარმოგიდგენთ:

1. აშშ-ის 42-ე პრეზიდენტის უილიამ ჯეფერსონის, იგივე ბილ კლინტონის სუფთა კაპიტალი, როგორც დასავლური მედია იუწყება, 55 მილიონი დოლარია. აქვე, შეგახსენებთ, რომ ბილი მსოფლიოს ზესახელმწიფოს 1993-2001 წლებში მართავდა. ნიშანდობლივია, რომ ბილმა ქონება პრეზიდენტობის დროს დააგროვა, ანუ პრეზიდენტობისას სულ 125 მილიონი გამოიმუშავა, საიდანაც გადასახადების გადახდის შემდეგ, ხელზე 55 მილიონი დარჩა. 2008 წელს, როცა მისი მეუღლე, ჰილარი არჩევნებში მონაწილეობდა, პრეზიდენტყოფილმა 15 მილიონი დაკარგა — ეს თანხა ჰილარის საარჩევნო კამპანიას მოხმარდა.

2. ფრანკლინ დელანო რუზველტი აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი გახლდათ (1933-1945 წლები) და მისი კაპიტალი 60 მილიონ დოლარს აღემატებოდა, თუმცა ფრანკლინს ქონება პრეზიდენტობით არ უშოვია — ქონების ნაწილი მემკვიდრეობით გადაეცა, ნაწილი კი, — ქორწინებით.

აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი სპრინგფილდში მიწის 800 აკრს ფლობდა, ჯორჯიის, მენისა და ნიუ იორკის შტატებში კი, — სხვა უძრავ ქონებას.

1919 წელს, რუზველტი ფინანსური კატასტროფის პირას აღმოჩნდა, თუმცა დედამ გადაარჩინა.

3. ჰერბერტ კლარკ ჰუვერს, რომელიც აშშ-ის 31-ე პრეზიდენტი გახლდათ, ღარიბი ნამდვილად არ ეთქმოდა — მის ანგარიშზე 75 მილიონი დოლარი იყო. არადა, ბიძას რომ არ ეაქტიურა, არავინ იცის, ობოლი ჰუვერის მომავალი როგორი იქნებოდა... ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა, ჰუვერი სამთო-მომპოვებელი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ და 17 წლის განმავლობაში აშშ-სთვისაც იშვიათად მაღალ ხელფასს იღებდა. სხვათა შორის, საპრეზიდენტო ხელფასს ჰუვერი მთლიანად საქველმოქმედო მიზნებით ხარჯავდა.

4. 1963 წელს ამერიკელებმა 36-ე პრეზიდენტად ბეინს ჯონსონი აირჩიეს, რომლის კაპიტალიც 98 მილიონ დოლარს შეადგენდა.

5. აშშ-ის მე-4 პრეზიდენტი, ჯეიმს მედისონი კი, 101 მილიონი დოლარის მფლობელი იყო პრეზიდენტობამდე, ჯეიმსი ვირჯინიის შტატის უმსხვილეს მიწათმფლობლად ითვლებოდა. პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგ, მედისონი გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა პრობლემებს თავი დააღწია.

ᲛᲘᲚᲐ ᲘᲝᲕᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲓᲘᲔᲢᲐ ᲝᲠᲡᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

უკრაინული წარმოშობის ჰოლოვუდელი, მილა იოვოვიჩი მეორე შვილს ელოდება და ამიტომ, როგორც თვითონ ამბობს, უმეტესად ხაჭოს მიირთევს. უარს არც ვაშლზე, მარწყვსა და ბანანზე ამბობს.

„ბოსტნეულსაც ვჭამ, ოღონდ არა — კიტრსა და პომიდორს. ძალიან მიყვარს გოგრა, ისპანახი და კაკალიც, ბურღულეულიდან კი, უპირატესობას შვრიის ფაფას ვანიჭებ“, — ამბობს ვარსკვლავი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲓᲘᲐᲪᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲓᲐ

მსოფლიო მედიის მონაცემებით, აშშ-ში, კერძოდ, ტეხასში მცხოვრებმა 40 წლის იასმინ ელბმა, რომელიც უიღბლო რომანებით დაიღალა, საკუთარ თავზე გათხოვების გადაწყვეტილება მიიღო... პატარძალმა ქორწილში მეგობრები და ოჯახის წევრები დაპატიჟა. სხვათა შორის, ქორწილი „კლასიკური“ გახლდათ — პატარძალს საქორწილო კაბაც ეცვა და საქორწილო მოგზაურობაშიც გაემგზავრა...

ᲛᲝᲜᲐᲖᲝᲜᲛᲐ ᲘᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲐ

ეს „ინციდენტი“ იტალიის ქალაქ მაჩერატაში მოხდა — მონაზონმა, რომელმაც, თურმე, არ იცოდა, რომ ფეხმძიმედ იყო, იმშობიარა.

მას შემდეგ, რაც მონაზონს მუცელი ასტკივდა, მონასტრის წინამძღვარმა მისი საავადმყოფოში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღო. მონაზვნის დები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პაციენტს, ოპერაცია დასჭირდებოდა, მაგრამ... უფლის მსახურმა ბიჭი გააჩინა. ახალშობილი თავს კარგად გრძნობს.

ᲙᲘᲛ ᲙᲐᲠᲓᲐᲨᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲓ „ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ“

ბრიუს ჯენერი სომხური წარმოშობის ჰოლივუდელის, კიმ კარდაშიანის მამინაცვალია. მას შემდეგ, რაც 65 წლის ყოფილი სპორტსმენი მეუღლეს, ანუ კიმის დედას, კრის ჯენერს გაშორდა, ერთობ შეიცვალა — ქალს დაემსგავსა.

ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა კი, წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ბრიუსმა სქესის შეცვლა, ესე იგი, ქალად გადაკეთება გადაწყვიტა.

„ბრიუსი თანდათანობით გარდაიქმნება ქალად. ოჯახი ამ არჩევანს გაგებით შეხვდა“, — განაცხადა წყარომ.

ჩვენი ფოსტიდან

სმენადაქვეითებული

თავის მეგობარს
უთხრა ჯანსუღმა –
რომ მოგიყვანე,
ნახე, ვარია? –
საათს დახედა
და უპასუხა,
კი, ზუსტად
ათის ნახევარია.

იუზა ჯავახიშვილი

დეფი-ციტი

დღეს პოეზიის
დეფი-ციტია,
ამ დეფილებში
დეფი ცქვიტია!

ჯონდო ბურჯალიანი

ოქრო

შენ არასდროს არ დაკარგავ
ოქროს, ვერცხლს და საფირონს,
ვავა, ალასანია ხარ? –
„სკანი გოლუაფირო“.

ძუკუ მეგრელი

დებატები

კამათი და პაექრობა
და არა – „დებატები“.
„დე“ არაფერშუაშია,
თქვენ ხართ ნაღდი ბატები.

ჯონდო ბურჯალიანი

ვარდოს მამა

მთელი ღამე ვწერაობდით,
არ გვეძინა,
ცხრა თვის შემდეგ
ეს ბოროტი შაგვეძინა.
დღეს გავემზადე, მინდა მოკვლა,
ვარ დანიანი.
ამას მე ვამბობ, ვარდოს მამა –

ვარდანიანი

საინფორმაციო მხარდაჭერა

სავაჭრო ცენტრი „საბა“ – მაქსიმალური კომფორტი

სავაჭრო ცენტრი „საბა“ თბილისში ერთადერთი მრავალპროფილიანი სავაჭრო ცენტრია, რომელიც მომხმარებელს ავეჯის ფართო არჩევანს სთავაზობს – ავეჯის მსხვილი ბრენდების უმეტესობას მაღაზიები სწორედ „საბა“-ში აქვს გახსნილი!

აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ცენტრი „საბა“, რომელიც თბილისში ერთ-ერთი უდიდესი გასაქირავებელი კომერციული ფართების შენობაა, კლიენტებს სავაჭრო ფართებზე არსებული დაბალი საიჯარო გადასახადით იზიდავს (კვ.მეტრი 10-დან 13 აშშ დოლარამდე), რაც ხელს ბაზრის ჩამოყალიბებასა და ფასების რეგულირებას უწყობს.

ამასთან, „საბა“ მოიჯარეებს უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტებს – ხანძრისა თუ სხვა ფორს-მაჟორული სიტუაციების 24-საათიან ვიდეო და სხვა სახის კონტროლს სთავაზობს, რასაც უსაფრთხოების სამსახურის მაღალკვალიფიციური თანამშრომლები უზრუნველყოფენ.

„საბაში“, ავეჯის სხვა სახლებთან შედარებით, ავეჯის ფასი დაბალი და მოსახლეობის ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომია, რაც კომპანიის მთავარი კონკურენტული უპირატესობაა!

სავაჭრო სახლი „საბა“ მომხმარებელს ავეჯის სხვადასხვა ტიპს სთავაზობს– როგორც იმპორტირებულს, ასევე, საქართველოში წარმოებულ პროდუქციას.

სავაჭრო ცენტრი „საბა“ – ესაა „ქალაქი ქალაქში“, სადაც მალე მხოლოდ ავეჯის კი არა, საოჯახო ტექნიკისა და სარემონტო მასალების შეძენაც შეგეძლებათ!

მის.: ქ. თბილისი, თ.ერისთავის №5
ტელ.: 269-26-53

სავაჭრო ცენტრი „საბა“ – მაქსიმალური კომფორტი!

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი, არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე, ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული, ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი: ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი: 26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით